

გაზეთი ბეჭდის „ვერსიას“ ერთი

ვერსია



№41 (1631) 19 – 25 თებერვალი ოთხშაბათი 2022 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

თბი „კამიკაძე დრონებით“



„მშვიდობით, ჩემპიონო!“ – ვაკის პარკის ტრაგედია, რომელმაც ქვეყანა შეძრა



რა ვიცით „გრინსერვის პლუსზე“ და რის გამო იყვნენ დაკავებულები რამდენიმე წლის წინ კომპანიის დამფუძნებლები

რაბოშ ნავიდა „დინამოდან“ და როგორ აღმოჩნდა აზერბაიჯანში – უსწორი ფაქტები ხვინა კვარაცხელიას მამაზე



„ენგურის ხიდს აფხაზები მოაწყდებიან“



სკანდალური ინტერვიუ პაატა დავითაიასთან

შინაგან საქმეთა სამინისტროს კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, ქუთაისის სკოლებში, მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა



შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-შემეცნებითი კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, რეგიონების სკოლებში შეხვედრები გრძელდება. ზუგდიდის შემდეგ, სამინისტროს წარმომადგენლებმა იმერეთის რეგიონში, ქუთაისის ოთხ სხვადასხვა სკოლაში: აკაკი წერეთლის სახელობის პირველ, იოსებ ოცხელის სახელობის მეორე, 30-ე და 32-ე საჯარო სკოლებში, მოსწავლეებთან საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრები გამართეს.

საპატრულო პოლიციის, კრიმინალური პოლიციის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების

ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრებზე, მოზარდებს ინფორმაცია მიანოდეს მართლწესრიგთან დაკავშირებით მათთვის საჭირო და აქტუალურ თემებზე. სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლებმა ისაუბრეს ბავშვთა უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმებზე, ნაადრევი ქორწინების, მისი ზიანისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ, ასევე, ბულინგის, ორგანიზებული დანაშაულისა და ძალადობის სხვადასხვა ფორმის თაობაზე.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა მოზარდებს საგანგებო სიტუაციებისას ქცევის წესები განუმარტეს, ხოლო საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის თანამშრომლებმა აუხსნეს, რა შემთხვევაში უნდა დარეკონ 112-ზე და როგორ უნდა ითანამშრომლონ ოპერატორთან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ბავშვებს სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფის საქმიანობის ამსახველი ვიდეორგოლები წარუდგინეს. შეხვედრები კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. სამართალდამცველებმა მოსწავლეების შეკითხვებს უპასუხეს.

კამპანია – „ემეგობრე პოლიციას“ გრძელდება. საზოგადოებრივი საინფორმაციო-შემეცნებითი ღონისძიებები და სკოლებში მოსწავლეებთან შეხვედრები ქვეყნის მასშტაბით, კიდევ რამდენიმე რეგიონში გაიმართება.



პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა აპოილო – დააკავეს ხუთი პირი



შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვადასხვა დროს, თბილისში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და აჭარაში ხუთი პირი დააკავეს, ნივთმტკიცებად ამოიღეს უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევ მ.გ., ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დაკავებულის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკისას, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და მჭიდი ნივთმტკიცებად ამოიღო.

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა უცხო ქვეყნის მოქალაქე, 1980 წელს დაბადებული მ.გ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნა-შენახვისა და ტარების ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა მ.გ. ავტომობილით გადაადგილებისას შეაჩერეს. პოლიციამ, მისი პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 11 ვაზნა.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნა-შენახვისა და ტარების ბრალდებითა და დაკავებული 1999 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევ ს.ა, რომლის პირადი ჩხრეკის შედეგად, გარდაბნის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს კუსტარული წესით დამზადებული ცეცხლსასროლი პისტოლეტი.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1974 წელს დაბადებული ზ.დ. დააკავეს. მას ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის, ასევე, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შექმნა-შენახვა ედება ბრალად. სამართალდამცველებმა ხაშურის მუნიციპალიტეტში, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლსა და დამხმარე სათავსოებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს: „აკ 74“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 100 ვაზნა, 3 მჭიდი, ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინი“ და „მარისუანა“.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოსა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა კი, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვა-ტარებისა და წესის დარღვევით ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოში შემოტანის ფაქტი გამოავლინეს. პოლიციამ 1989 წელს დაბადებული ა.ბ., აღნიშნული დანაშაულისთვის ხელვაჩაურში დააკავა. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის მართვის ქვეშ არსებული მიკროავტობუსის შემოწმების შედეგად, რევოლვერები, 12 ვაზნა და ცეცხლსასროლი იარაღის დეტალები ნივთმტკიცების სახით ამოიღეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 214-ე, 260-ე და 273-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებს საფრანგეთის რესპუბლიკის ახლადდანიშნული შიდა უსაფრთხოების ატაშე ეწვია



საფრანგეთის რესპუბლიკის ახლადდანიშნულმა შიდა უსაფრთხოების ატაშემ, ოლივიე ლეფებერმ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების ხელმძღვანელებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრები გამართა.

ატაშე ესტუმრა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს, მიგრაციის დეპარტამენტს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს, შსს-ს აკადემიას, საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს.

შეხვედრების ფარგლებში, ოლივიე ლეფებერი დეტალურად გაეცნო შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების სტრუქტურასა და საქმიანობის სპეციფიკას. მხარეებმა საფრანგეთის სამართალდამცავ უწყებებთან არსებულ ნაყოფიერ თანამშრომლობაზე ისაუბრეს და სამომავლო პერსპექტივები განიხილეს.

საფრანგეთის რესპუბლიკის შიდა უსაფრთხოების ატაშემ ხაზგასმით აღნიშნა ორი ქვეყნის სამართალდამცავი უწყებების წარმატებული თანამშრომლობა და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული ურთიერთობა, ერთობლივი ძალისხმევით, კიდევ უფრო გაღრმავდება.



დღი „კამიკაძე დროებით“



რა არის „შაჰიდი დრონი“ და რით იმუქრება აშშ

ენო დოლიძე

ბოლო დღეებია, რუსეთი უკრაინას ე.წ. შაჰიდი დრონებით უტყვის. არსებობს ცნობა, რომ „შაჰიდებს“ კრემლს ირანი აწვდის. მართალია, ოფიციალური თეირანი ამ ცნობას კატეგორიულად უარყოფს, მაგრამ მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე, აშშ უკვე ღიად ამბობს, რომ ყველა კერძო თუ იურიდიული პირი, რომელიც ირანთან „შაჰიდების“ კონტექსტში იქნება დაკავშირებული, მკაცრად აგებს პასუხს. კერძოდ, 18 ოქტომბერს, AFP-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აშშ აპირებს, მიიღოს ზომები იმ კომპანიებისა და ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც კავშირში არიან ირანის დრონების პროგრამასთან.

„ვინც ბიზნესს აწარმოებს ირანთან, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს რამე კავშირი უპილოტო საფრენ აპარატებთან, ბალისტიკური რაკეტების განვითარებასთან, ან ირანიდან რუსეთში იარაღის ნაკადთან, უნდა იყოს ძალიან ფრთხილად და გამოიჩინოს სათანადო ყურადღება – აშშ არ დააყოვნებს სანქციების გამოყენებას ან ქმედებებს განხორციელებას დამნაშავეების წინააღმდეგ“, – განუცხადა ჟურნალისტებს სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა ვედანტ პატელმა. მისი განცხადებით, რუსეთის ირანთან ალიანსის გაღრმავება არის ის, რაც მთელმა მსოფლიომ უდიდეს საფრთხედ უნდა აღიქვას.

ამასთან, ომის კვლევის ინსტიტუტის ანალიტიკოსების შეფასებით, დრონებით განხორციელებული თავდასხმა კიევის საცხოვრებელ ინფრასტრუქტურებზე რუსეთის ფართო სტრატეგიაა, რომლითაც კრემლი უპირატესობას ანიჭებს უკრაინაზე ფსიქოლოგიურ ტერორს, ვიდრე ბრძოლის ველზე ხელშესახები ეფექტის მიღწევას.

გარდა ამისა, ინსტიტუტი ბელგოროდის სამხედრო ნაწილში სროლასაც გამოეხმაურა. ISW წერს, რომ სროლა, სავარაუდოდ, მოხილვებულ სამხედრო პერსონალს შორის, კონფლიქტის ნიადაგზე მოხდა. ინსტიტუტის თქმით, რუსული საინფორმაციო სივრცე ინციდენტს მაშინვე გამოეხმაურა ცენტრალური აზიელების წინააღმდეგ რასისტული რიტორიკით და რუსეთში სავიზო რეჟიმის შემოღებისკენ მოუწოდა. ISW-ის ცნობით, ბელგოროდის რეგიონში სროლის შემდეგ, რუსეთის სამოქალაქო ომის შესახებ დისკუსიებმა შეიძლება კიდევ უფრო შეარყიოს კრემლის პრეტენზიები რუსეთის შიგნით ეროვნულ, ეთნიკურ და რელიგიურ ერთიანობაზე.

გარდა ამისა, მიმოხილვაში ნათქვამია, რომ ვაგნერის დაჯგუფების ლიდერი ევგენი პრიგოჟინი და ვაგნერის ჯგუფთან დაკავშირებული სოციალური მედია სულ უფრო ხშირად საუბრობს რუსული სამხედრო ინსტიტუ-

ტების არაეფექტიანობაზე და სოციალურ პრობლემებზე, რამაც ანალიტიკოსების აზრით, შესაძლოა, შეარყიოს კრემლის ძალა. ამერიკელი ექსპერტების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ პრიგოჟინი პირდაპირ არ ეწინააღმდეგება და არ აკრიტიკებს პუტინს, მისმა მზარდმა ცნობადობამ ნაციონალისტურ საზოგადოებაში, შესაძლოა, შეარყიოს პუტინის „ძლიერი კაცის“ რეპუტაცია.

და მაინც, რა არის და რა უნდა ვიცოდეთ „შაჰიდი დრონი“?

CNN-ის ცნობით, დრონებმა კონფლიქტში მნიშვნელოვანი როლი რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ შეიძინეს. ამავე წყაროს ცნობით, რუსეთმა დრონების გამოყენება მას შემდეგ გააძლიერა, რაც ზაფხულში, ირანიდან ახალი დრონები შეიძინა.

„კამიკაძე“, „შაჰიდი“ ან თვითმკვლელი დრონები საჰაერო იარაღის სისტემებია. ისინი ცნობილია, როგორც მომხიბვლელი საბრძოლო მასალა, რადგან მათ შეუძლიათ ლოდინი პოტენციურ სამიზნედ განსაზღვრულ ზონაში და დაარტყან მაშინ, როცა მტრის აქტივი გამოვლინდება.

ის პატარა ზომისაა და მისი გაშვება ადვილად შესაძლებელია, თუმცა დრონების მთავარი უპირატესობა ისაა, რომ მათი აღმოჩენა ძნელია და სროლა შორი მანძილიდანაა შესაძლებელი.

სახელწოდება „კამიკაძე“ იმაზე მიუთითებს, რომ

დრონები ერთჯერადებია. ისინი შექმნილია მტრის ხაზების მიღმა დარტყმისთვის და ნადგურდება შეტევისას – განსხვავებით ტრადიციული, უფრო დიდი და სწრაფი სამხედრო დრონებისგან, რომლებიც რაკეტის ჩამოგდების შემდეგ, უკან ბრუნდებიან.

უკრაინის სამხედრო და აშშ-ის დახვეწა აცხადებს, რომ რუსეთი ირანული ნარმოების თავდასხმის დრონებს იყენებს. აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა ივლისში, CNN-ს განუცხადეს, რომ ირანმა დაიწყო „შაჰიდის“ სერიის უპილოტო დრონების ჩვენება რუსეთში, თეირანის სამხრეთით მდებარე კაშანის აეროდრომზე. მათ შეუძლიათ ზუსტი მართვადი რაკეტების გადატანა და 50 კილოგრამით დატვირთვა.

აგვისტოში, აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ რუსეთმა აღნიშნული დრონები შეიძინა და სამხედროებს მის გამოყენებაში ავარჯიშებდა. უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ კი აღნიშნა, რომ რუსეთმა ირანიდან 2 400 „შაჰიდ-136“ თვითმფრინავი შეუკვთა.

ერთი სიტყვით, თანამედროვე სამყაროში ომი სრულიად ახალი ტექნოლოგიებით მიმდინარეობს, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ „კამიკაძე დრონების“ შემჩნევა ძნელია, უკრაინელები მათ განეიტრალებას მაინც ახერხებენ. ამიტომ, იმაზე საუბარი, რომ ამ ომს უკრაინა წააგებს, ნონსენსია.



„მშვიდობით, ჩემპიონო!“ – ვაკის პარკის ტრაპედიამ, რომელმაც ქვეყანა შეძრა

მასპა რუხაძე

13 ოქტომბერს, ვაკის პარკის ახლადგახსნილ შადრევანში, სამ მოზარდს დენმა დაარტყა. ორი მათგანის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება, მესამე – 13 წლის გოგონა, მარიტა მეფარიშვილი გარდაიცვალა... 13 წლის მოზარდების ერთი უწყინარი და მზიარული „შატალო“ უმძიმესი ტრაგედიით დასრულდა, ტრაგედიით, რომელმაც ქალაქი შეძრა და თითოეულ ჩვენგანს ძარღვებში სისხლი გაგვიყინა... მოზარდებს შადრევანში ბურთი ჩაუვარდათ და როდესაც მის ამოსაღებად ჩავიდნენ, დენმა დაარტყათ, თანაკლასელების გადასარჩენად მარიტაც წყალში შევიდა, მაგრამ... მოზარდებს ვაკის პარკის მეზაღე, დევი მეზურნიშვილი მიეშველა, რომელმაც ბიჭების გადარჩენა შეძლო, წყლიდან მარიტაც ამოიყვანა, მაგრამ გოგონას გადარჩენა ვეღარ შეძლეს... 13 წლის მარიტა მეფარიშვილი, რომელიც ჩოგბურთში საქართველოს 2021 წლის ჩემპიონი იყო, ხეჩინაშვილის კლინიკაში გარდაიცვალა.



რა ვიცით „გრინსერვის პლუსზე“ და რის გამო იყვნენ დაკავებულები რამდენიმე წლის წინ კომპანიის დამფუძნებლები

ვაკის პარკის რეაბილიტაცია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ელექტრო ან თბოენერჯის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს. ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრე, ვაკის პარკში სარესტავრაციო სამუშაოების მეორე ეტაპი დასრულდა, რომელიც მრგვალი შადრევანისა და პატარა კასკადის განახლებას ითვალისწინებდა. ამ სამუშაოებზე თბილისის მერიამ 6 500 000 ლარი დახარჯა. დედაქალაქის მერის, კახა კალაძის განცხადებით, მერიის მთავარი კონტრაქტორი კომპანია „გრინსერვის პლუსი“ იყო და შადრევანის ექსპლუატაციაში ჩაბარებამდე, ის შესაბამისმა სამსახურებმა შეამოწმეს.

თბილისის მერის მოადგილის, ანდრია ბასილაიას განცხადებით, პროექტის ფარგლებში, მერიამ ცალკე – შადრევანი, ცალკე – ელექტროგაყვანილობა ან რამე კომპონენტი კი არა, სრულყოფილი კასკადის რეაბილიტაციის პროექტი შეისყიდა, რომელიც ყველა საჭირო კომპონენტს მოიცავდა. მისივე თქმით, როდესაც პროექტის განხორციელება დაიწყო, გარკვეული ეტაპები დედაქალაქს ჩაბარდა. ყველა ასეთი ეტაპი დაექსპერტებული და ჩაბარებულია, მათ შორის, შადრევანის ნაწილი. თვითონ შადრევანის ნაწილის საექსპერტო დასკვნა არის ხუთას გვერდზე მეტი. ეს დასკვნა სახელმწიფო შესყიდვების საიტზე დევს და მისი ნახვა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია.

„რაც შეეხება ჩვენს სამსახურებს, ჩვენ ვამონუმებთ, აკრედიტირებულია თუ არა ექსპერტი, აქვს თუ არა შესაბამისი საქმიანობის შემოწმების უფლება და იმასაც ამოწმებს, არის თუ არა დასკვნა დადებითი. დასკვნა, ცალსახად, ყველა ეტაპზე დადებითი იყო. თითოეულ ეტაპზე, დასკვნაში ნახსენები იყო, რომ შესრულებული სამუშაო პროექტს შეესაბამება და ეს პროექტი ქვეყანაში ყველა არსებული სამშენებლო ნორმის მიხედვითაა შესრულებული. შესაბამისად, ჩვენს თანამშრომლებს უფლება კი არ ჰქონდათ, რომ ასეთი დასკვნის ჩაბარებაზე თანხმობა არ გაეცათ“, – განაცხადა ანდრია ბასილაიამ.

თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის უფროსმა, გიგა გიგაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ ვაკის პარკის ტერიტორიაზე მონყობილი ყველა სამუშაო შესრულებული იყო პროექტის შესაბამისად.

„სრულად ვთანამშრომლობ გამოძიებასთან და სტრუქტურულად ყველა საჭირო ინფორმაცია, რაც მათ სჭირდებოდათ, ამ ეტაპზე, უკვე მივანოდთ. თუ რამე ბრალეულობა მიმიძღვის კონკრეტულ საქმიანობაში, მზად ვარ, ამაზე პასუხი ვაგო“, – განაცხადა გიგა გიგაშვილმა.

თბილისის მერიამ ვაკის პარკის აღდგენის პროექტი შარშან დაიწყო. დედაქალაქის მერის, კახა კალაძის განცხადებით, რეკრეაციული სივრცე, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქალაქისთვის, მთლიანად უნდა მოწესრიგებულიყო. პირველ ეტაპზე, გამწვანების სამუშაოები ჩატარდა, მოეწყო დასასვენებელი სივრცეები და საბავშვო ატრაქციონები. სამუშაოების მეორე ეტაპი მცირე კასკადისა და მრგვალი შადრევანის რეაბილიტაციას გულისხმობდა. ვაკის პარკის რეაბილიტაციის ფარგლებში, მთლიანად შეიცვალა წყალმომარაგების სისტემა. დამონტაჟდა თანამედროვე ტექნოლოგია, რომელიც ავტომატიზებულია, მოეწყო განათების სისტემა.

როგორც აღვნიშნეთ, მცირე კასკადისა და მრგვალი შადრევანის სარეაბილიტაციო სამუშაოები მერიას 6 500 000 ლარი დაუჯდა, თუმცა ვაკის პარკის განახლების პროექტის ჯამური ღირებულება, გამწვანებისა და ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩათვლით, 33 000 000 ლარია.

შპს „გრინსერვის პლუსი“

ვაკის პარკის რეაბილიტაცია შპს „გრინსერვის პლუსმა“ განახორციელა, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი კობა ხარშილაძე გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას პირადი დაცვა გახლდათ. მეორე დამფუძნებელი, რომელიც ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოში დაიკითხა და ჟურნალისტებთანაც გამოჩნდა, ლაშა ფურცხვანიძეა.

სხვათა შორის, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, როდესაც თბილისის მერი გიგი უგულავა იყო, ლაშა ფურცხვანიძე ძველი თბილისის გამგებელი გახლდათ. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, ქართული ოცნების მმართველობის პირობებში, სწორედ უგულავას მმართველობისას, მერიის მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა სახის სახელმწიფო ტენდერებში დაფიქსირებული მაქინაციების გამო, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ლაშა ფურცხვანიძე დააპატიმრა. უფრო ზუსტად, 2012 წელს, შპს „გრინსერვისი“ ე.წ. შავ სიაში შეიყვანეს, თუმცა ხარშილაძე-ფურცხვანიძემ ახალი კომპანია „გრინსერვის პლუსი“ დაარეგისტრირეს და ტენდერებში მონაწილეობა გააგრძელეს. მართალია, ახლა „შავი სია“ გაუქმებულია, მაგრამ შეგახსენებთ, რომ კომპანიას, რომელიც „შავ სიაში“ ირიცხებოდა, ტენდერში მონაწილეობა ეკრძალებოდა.

დასასრული მე-5 გვერდზე



„მშვიდობით, ჩემპიონო!“ – ვაკის პარკის ტრაბედია, რომელმაც ქვეყანა შეძრა

მე-4 გვერდიდან

2013 წელს, სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, „გრინსერვის პლუსის“ დამფუძნებლები დაპატიმრეს, მაგრამ საკმაოდ სოლიდური გირაოს სანაცვლოდ, გაათავისუფლეს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ფლანგვის დეტექტორის“ ინფორმაციით, შპს „გრინსერვის პლუსი“ სახელმწიფოს შესყიდვებში 2013 წლიდან მონაწილეობს და დღემდე, 73 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ტენდერი აქვს მოგებული.

„ვაკის პარკის რეაბილიტაცია, თბილისის მერიამ 2020 წელს დაიწყო და თავად მერიის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციით, 2021 წლისთვის უნდა დასრულებულიყო.“

სარეაბილიტაციო სამუშაოები 2019 წელს შემუშავებული წინასაპროექტო კვლევისა და ფუნქციური ზონირების რუკის საფუძველზე დაიწყო. თავად მერის, კახა კალაძის თქმით, ვინაიდან პარკი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რეაბილიტაციაც მნიშვნელოვანი ჩარევებისა და ცვლილებების გარეშე განხორციელდა. პარკის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის განხორციელებაზე – 17 600 000 ლარი, ხოლო გამწვანების ღონისძიებებზე დამატებით – 3 500 000 ლარი დაიხარჯა, – აცხადებენ „ფლანგვის დეტექტორის“ მკვლევარები.


პირველი ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „დაგი“ ახორციელებდა, რომლის ვალდებულებაშიც ვაკის პარკში, ზედაპირის მოპირკეთება, მათ შორის, მიწის სამუშაოების, ასევე, დემონტაჟისა და სხვადასხვა ტიპის სამუშაოების შესრულება შედიოდა. კომპანია ვალდებული იყო, ჩატარებინა მოსაპირკეთებელი სამუშაოები, გაეყვანა კომუნიკაციები, დაეყენებინა განათებები, უზრუნველყო სხვადასხვა ტიპის ბორდიურებისა და ფილების მოპირკეთება და მონტაჟი. კომპანიას უნდა მოეწყო საბავშვო მოედნები, აღედგინა შადრევნები, მოეწყო ძაღლების სავარჯიშო მოედანი და ველოსიპედების გასაჩერებელი კარკასი. დოკუმენტაციის თანახმად, ვაკის პარკში უნდა მოწყობილიყო სატრენაჟორო სივრცეც, რომელიც უზრუნველყოფილი იქნებოდა ინკლუზიური ფიტნეს ალტურვილობითაც.

რაც შეეხება სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპს, თბილისის მერიამ ელექტრონული ტენდერი 2021 წლის სექტემბერში გამოაცხადა, რათა ვაკის პარკის ტერიტორიაზე არსებული შადრევნებისა და კასკადის სარეაბილიტაციო სამუშაოები შეესყიდა. ტენდერის სავარაუდო ღირებულება 13 000 000 ლარი იყო. ტენდერში სამი კომპანია მონაწილეობდა, თუმცა საბოლოოდ, შპს „გრინსერვის პლუსმა“ გაიმარჯვა. კომპანიასთან ხელშეკრულება 2021 წლის ოქტომბერში გაფორმდა. ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ, შპს „გრინსერვის პლუსი“ თბილისის მერიისგან 12 979 867 ლარს მიიღებდა. შადრევნის რეაბილიტაცია რამდენიმე დღის წინ დასრულდა, დღევანდელი მონაცემებით, კომპანიას აღნიშნული თანხის თითქმის ნახევარი ანუ 6 324 286 ლარი აქვს მიღებული.

რა მოხდა ვაკის პარკში

ფურცხვანიძის თქმით, საქართველოში ჩამოტანამდე აპარატურამ ტესტირება გაიარა და შესაბამისი რეპორტებიც არსებობს. ამასთან, ფურცხვანიძის თქმით, მომხდარი შემთხვევა წინასწარ განსაზღვრულ ქმედებას ჰგავს.

„პასუხისმგებლები ვართ იმ სამუშაოებზე, რაც ჩავატარეთ, სამუშაოები ყველა ნორმის დაცვით ჩატარდა, ყველა საბუთი არსებობს და ეს ნახეს უკვე პოლიციაში, გამოძიება დაადგენს. სანამ ჩამოვიდოდა ეს აპარატურა საქართველოში, შემოწმებული იყო და ამის ტესტი-



რება-რეპორტები არსებობს. ძალიან არ მინდა ვთქვა, მაგრამ ერთადერთ რაღაცას, წინასწარ განსაზღვრულ ქმედებას ჰგავს, სხვას მე ვერაფერს ვიტყვი, ამას უკვე გამოძიება დაადგენს. ჩვენი თანამშრომლები წინა დღესაც მუშაობდნენ, სამი საათი მუშაობდნენ, აუზში ჩართულში ამონებდნენ და ასწორებდნენ. მეტსაც გეტყვით, ძალიან ჩახტა სამჯერ, კადრებიც არის ჩვენ ორი თვის განმავლობაში ტესტირების რეჟიმში გვქონდა ვამუშავებდით და არანაირი დარღვევა არ დაფიქსირებულა, მე ერთ შემთხვევას თუ მეტყვით, როდესაც აუზში ჩასულ ვინმეს დენმა დაარტყა, მაშინ დავფიქრებდი, მაგრამ მიშას დროიდან, როდესაც შადრევნები კეთდებოდა, არცერთი ასეთი ფაქტი არ დაფიქსირებულა“, – განაცხადა ლაშა ფურცხვანიძემ.

ამბობს, რომ გამოძიებასთან მჭიდროდ თანამშრომლობს და მომავალშიც ასე გააგრძელებს, თუმცა გულისტკივილით დასძენს, იმაზე მეტ სასჯელს ვერავინ მომისჯის, რაც მთელი სიცოცხლის ბოლომდე, ღმერთმა უკვე მომისაჯაო:

„თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ, მაგრამ ის პატარა უმნიშვნელო არსება, რომელიც გარდაიცვალა, სიცოცხლის ბოლომდე იქნება ჩემს სასჯელად. მანამდე ყველაფერი მწყობრში იყო, ძალიან ბევრი დამთხვევაა და ძალიან ბევრი რამ ასე არ ხდება. გვქონდა დაყენებული, ტესტირების რეპორტი არსებობს, მე გეტყვით, რომ ჩემი თვალით მაქვს ნანახი პირადად გაჟონვის ღელე ასე ჰქვია, რომელიც თანხაში გეტყვით და მიხედვით ღირს 300 ლარი, და არცერთი თავმოყვარე კომპანია კი არა, ბოლო კომპანია არ გააკეთებს იმას, რომ შადრევანში, რომელშიც დენია, არ დააყენოს გაჟონვის ღელე. ძალიან მაინტერესებს ექსპერტიზამ დაადგინოს, რა მოხდა, ისეთი რამ მანამდე არ მომხდარა, ბოლო, რა ვიცი, რამდენი წლის განმავლობაში. ნუ, ჩემი გადმოსახედიდან, 25 წლის განმავლობაში, არასოდეს მომხდარა“, – განაცხადა ფურცხვანიძემ.

პრევენციული ზომები

წლების მანძილზე, „ვერსიაში“ არაერთი სტატია თუ ჟურნალისტური გამოძიება გამოვაქვეყნეთ, რომელთა მთავარი თემა, სწორედ სახელმწიფო შესყიდვებში არსებული დარღვევები იყო. დღემდე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნებში ასახული დარღვევების უდიდესი ნაწილი სწორედ არასწორად ჩატარებულ ტენდერებს ეხება, თანაც – არც მეტი, არც ნაკლები – საჯარო უწყებებში. ცხადია, ვაკის პარკის ტრაგედიის გამოწვევ მიზეზებს გამოძიება დაადგენს და საზოგადოება აუცილებლად გაიგებს, რა მოხდა სინამდვილეში, ხარისხიანად შესრულდა სამუშაოები თუ არა. აქედან გამომდინარე, დამნაშავეებიც აუცილებლად

დაისჯებიან და კანონის სრული სიმკაცრით აგებენ პასუხს, თუმცა მანამდე, სასიცოცხლოდ აუცილებელი და მნიშვნელოვანია ორი რამ:

პირველი – სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში არსებული ხარვეზების დაუყოვნებლივ გამოწმობა, რასაც შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება ან ცვლილებათა პაკეტი სჭირდება. ეს ხარვეზები და კანონში არსებული ხვრელები იმდენად ვრცელი თემაა, რომ არაერთ სტატიაში განგვიხილავს, ამიტომ ხარვეზებზე დეტალურად აღარ შევჩერდები. მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ აუქციონში იმარჯვებს ის კომპანია, რომელიც ამა თუ იმ სამუშაოს სხვა პრეტენდენტზე ნაკლებ ფასად შეასრულებს და ხშირად, სწორედ ეს იქცევა სახელმწიფო აუდიტორების ყურადღებას, განსაკუთრებით, სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებში;

მეორე – სასწრაფოდ უნდა აღდგეს ე.წ. შავი სია. 2018 წელს, როდესაც საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) გადაწყვეტილებით, „შავი სია“ გაუქმდა, მთავარ არგუმენტად მომხმარებელთა უფლებების დარღვევა დასახელდა. უფრო ზუსტად, საქართველოს მოქალაქეებს სესხები და საბანკო კრედიტები უპრობლემოდ რომ აეღოთ, „შავი სიები“ გააუქმეს. ნაწილობრივ, ეს გასაგებიცაა, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი, სწორედ პრობლემური სესხების გამო იყო „შავი სიის“ კანდიდატი. თუმცა, როგორც წესი, მედალს მეორე მხარეც აქვს – სამაგიეროდ, „შავი სია“ რომ გაუქმდა, სხვადასხვა სახის ტენდერებში, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვებშიც უპრობლემოდ მონაწილეობენ პირები, რომლებიც მანამდე, სხვადასხვა სახის დარღვევების გამო, „შავ სიაში“ იყვნენ. არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, მაგრამ თუ დისკრიმინაციის შიშით, „შავი სია“ აღარ უნდა არსებობდეს, კანონქვემდებარე აქტით, ან ბრძანებით, გნებავთ, განკარგულებით მაინც დაარეგულირეთ ეს საკითხი და სახელმწიფო ტენდერებში მაინც აუკრძალეთ მონაწილეობა იურიდიულ ან ფიზიკურ პირებს, რომლებიც ადრე „შავი სიის“ წევრები იყვნენ.

P.S. 18 ოქტომბერს, საღამოს, გაზეთი უკვე აწყობილი გვქონდა, როდესაც შსს-ს საგანგებო ბრიფინგი ჩაინიშნა და ცნობილი გახდა, რომ 13 ოქტომბერს, ვაკის პარკის ტრაგედიასთან დაკავშირებით, ცხრა პირი დააპატიმრეს, მათ შორის, „გრინსერვის პლუსის“ დამფუძნებელი, ლაშა ფურცხვანიძე, ასევე, თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე და „გრინსერვის პლუსის“ ქვეკონტრაქტორი კომპანიების წარმომადგენლები.

„ენგურის ხიდს აფხაზები მოაწყობიან“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე – აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მცხოვრები მოსახლეობისთვის ევროპის კარი იხურება. ევროპის საბჭოს გადაწყვეტილებით, დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებლები რუსული პასპორტებით ევროკავშირის ქვეყნებში მოგზაურობას ვეღარ შეძლებენ. რუსული პასპორტების მფლობელები ვეღარც ვიზებს მიიღებენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება ევროკავშირმა მას შემდეგ მიიღო, რაც რუსეთმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებლებს რუსული პასპორტები დაურიგა. ანალოგიური რეგულაციები იმოქმედებს უკრაინის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებლებისთვისაც.

ენ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის დეფაქტო ხელმძღვანელი, დიმიტრი სანაკოევი ამბობს, რომ ცხინვალის მოსახლეობის 30%-ს ევროპაში გასვლა არც სჭირდება. მისივე თქმით, დისკომფორტი მხოლოდ იმ ახალგაზრდებს შეექმნებათ, რომლებიც ევროპაში სწავლობენ: „რიგით ადამიანებს არანაირი დისკომფორტი არ ექნებათ. ისინი არც ცდილობენ საზღვარგარეთ წასვლას. მათი შვილებისთვის, რომლებსაც სურთ, ევროპაში ისწავლონ და რუსული პასპორტები აქვთ, რა თქმა უნდა, დიდი დისკომფორტია. ცხადია, ბევრი პრობლემები გაუჩნდებათ იმ ახალგაზრდებსაც, რომლებიც დღეს, სადღაც კონტრაქტით არიან გაფორმებულნი, სადღაც სწავლობენ, ევროპულ უნივერსიტეტებში. მე ვიცი ასეთი ფაქტები... თუმცა, ჩვეულებრივი, რიგითი მოსახლეობის 30% არც კი გადის ცხინვალიდან“.

იმის გასარკვევად, თუ რა განწყობა მოჰყვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევროკავშირის სანქციებს, „ვერსია“ პარტია ევროპელი დემოკრატების ლიდერ პაბატა დავითაძის ესაუბრა:

– ამაში ახალი არაფერია, ეს აქამდეც ასე იყო, უბრალოდ, არ ჰქონდა სისტემური ხასიათი. აშშ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაცემულ რუსეთის პასპორტებს არ აღიარებდა და ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაც ასე მოქმედებდა. ახლა კი ამას ევროკომისიამ სისტემური ხასიათი მისცა, რაც, რა თქმა უნდა, წინგადადგმული ნაბიჯია საქართველის ტერიტორიული მთლიანობის აღიარების თვალსაზრი-



სკანდალური ინტერვიუ პაატა დავითაძისთან

სით და მთავარია, ამას ოფიციალური თბილისი როგორ გამოიყენებს.

სპეციალური სახელმწიფო პროგრამა უნდა შემუშავდეს, რათა დაინყოს ქართული პასპორტების გაცემა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებლებათვის, თუმცა ყველაზე ვერ გასცემ, რადგან ზოგი დამნაშავეა და პასუხი უნდა აგოს...

მოკლედ, ამას სჭირდება სახელმწიფოებრივი მიდგომა და ეს მომენტი ხელიდან არ უნდა გაფუშვდეს.

– ე.ი. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაააქტიუროს მუშაობა, რომ აფხაზეთსა და ცხინვალში მყოფი ჩვენი თანამოქალაქეები ქართული პასპორტებით დააინტერესოს, არა?

– დიახ. მათ არჩევანი აქვთ: ან ჩაიკეტონ ფარდის უკან, ან გახდნენ ევროკავშირის მოქალაქენი, რადგან ჩვენ აუცილებლად გავხდებით ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ყველა კრიტერიუმს დავაკმაყოფილებთ, უბრალოდ, ამას დრო სჭირდება. მათ კი ჯიბეში ექნებათ ევროკავშირის წევრი ქვეყნის პასპორტი.

– როგორი განწყობაა აფხაზეთში ამ სანქციების შემდეგ?

– იცით, რომ ბუჩანიამ დაინყო სამობილიზაციო შტაბების შექმნა, რასაც ძალიან დიდი ნეგატივი და პრო-

ტესტი მოჰყვა და არ არის გამორიცხული, რომ როცა მობილიზაცია და განვევა გამოცხადდება, ენგურის ხიდს მოაწყობენ აფხაზები.

ეს უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ სამწუხაროდ, სახელმწიფო პოლიტიკა ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, არ არსებობს.

– ბუჩანიამ ადგილობრივ ბიზნესმენებს ჯარის დაფინანსება სთხოვა, რასაც წინ უძღვოდა ინალ არძინბას განცხადება, თითქოს, საქართველოს მხრიდან აფხაზეთზე თავდასხმის საშიშროება დგას. როგორ ფიქრობთ, რატომ სჭირდებათ ამ ცრუ ნარატივის გავრცელება ადგილობრივ მოსახლეობაში დეფაქტო მმართველებს?

– თქვენც ხომ გესმით, რომ თავდასხმა აქედან არ იქნება. განწყობის შექმნა უნდათ, თითქოს, ქართველები აპირებენ თავდასხმას თავიანთი ქმედებების განსამართლად... რალაც იდეოლოგია ხომ უნდა მოიფიქრონ...

– ადგილობრივი ბიზნესმენების მიმართ მოწოდება რას ემსახურება?

– ისედაც ისე აკონტროლებენ ბიზნესს, როგორც უნდათ, ყველაფერი ეს, მხოლოდ პიარია.

– აფხაზები ენგურს მოაწყობიანო, ამბობთ, ე.ი. ოლონდ უკრაინის ომში არ წავიდნენ და აფხაზი ახალგაზრდები მზად იქნებიან, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიებზე გადმოვიდნენ?

– აფხაზებს დიდ სამამულო ომში არ უომიათ და როგორ გგონიათ, ახლა უკრაინის ომში წავლენ და თავის გენოფონდს გაანადგურებენ?

1992-93 წლებში, 2000 აფხაზი დაიღუპა და ლამის, გენოფონდი გაუნადგურდათ. ახლა კი 8 000-მდე მამაკაცია გასანგევი, რომლებიც ერთ დღეში, შეიძლება, უკრაინის მიწაში ჩაწვენ და ამაზე არ წავლენ აფხაზები...

– მოსახლეობის ეს განწყობა ბუჩანიამ და ინალ არძინბამ ხომ იციან?

– კი, მაგრამ ისინი კრემლის მარიონეტები არიან და ბრძანებას ასრულებენ.

– თქვენი ინფორმაციით, ცხინვალში რა ვითარებაა?

– ცხინვალში 8 000 მოსახლეა და 12 000 ჯარისკაცი. ეს ერთი დიდი სამხედრო ბაზაა და იმოქმედებენ ისე, როგორ ბრძანებასაც გასცემს მათი მთავარსარდალი, პუტინი. ცხინვალის აფხაზეთიც კი არაა, მოდი, ასე ვთქვათ...

– შესაძლოა, ამ სანქციის გამო, ახალგაზრდებში პროტესტის მუხტი აგორდეს?

– სპონტანურად არაფერი აგორდება. ჩვენ უნდა შევეწყოთ ხელი და ისინი უნდა ხედავდნენ, სადაა გამოსავალი. ამიტომ, სახელმწიფო პოლიტიკა უნდა იყოს შემუშავებული, რაც, სამწუხაროდ, არ არსებობს.



შესაძლებელია თუ არა ძუძუს კიბოსგან განკურნება და რატომაა აუცილებელი დროული სკრინინგი

ელიკა თორთლაძე

„ვარდისფერი ოქტომბერი“ – ასე უწოდებენ ძუძუს კიბოს შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო თვეს. აღნიშნული ღონისძიება, მამოგრაფიის წინა პლანზე წამოწევისა და მისი მნიშვნელობის გაზრდის მიზნით, 1985 წელს, აშშ-ის კიბოს საზოგადოების მიერ დაარსდა, რომელიც ძალიან ძლიერი იარაღია ყველაზე გავრცელებული სიმსივნის – ძუძუს კიბოს წინააღმდეგ. ვარდისფერი ბაფთა, რომელიც ძუძუს კიბოს სიმბოლოა, 1993 წელს, „ესტე ლაუდერის“ ვიცე-პრეზიდენტმა შექმნა და მას შემდეგ მთელ მსოფლიოში გამოიყენება, როგორც ძუძუს კიბოს შესახებ ცნობადობის ამაღლების სიმბოლო. საქართველოში ყოველ წელს, ოქტომბერში, ტარდება სხვადასხვა ღონისძიება, რათა ძუძუს კიბოს პრევენციასა და ადრეულ დიაგნოსტიკას გაეცხვას ხაზი. რამდენად მნიშვნელოვანია სკრინინგ-გამოკვლევები და ძუძუს კიბოს ადრეული დიაგნოსტიკა? – „ვერსია“ კლინიკურ ონკოლოგ მამარ მსაპინს ესაუბრა.

– თამარ, რა ღონისძიებები ტარდება საქართველოში, „ვარდისფერ ოქტომბერთან“ დაკავშირებით?

– მკურნალობა ადრეულ სტადიაზე, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ეფექტიანია, ამიტომ სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაცია და ასევე, პაციენტებიც, აქტიურად ატარებენ სხვადასხვა ღონისძიებას. არსებობს საერთაშორისო ორგანიზაცია „ევროპადონა“, რომელსაც საქართველოშიც ჰყავს წარმომადგენლობა, მასში განეწვევიანებულნი არიან სწორედ ის ქალბატონები, რომლებიც მკურნალობდნენ ძუძუს კიბოს გამო და გადარჩენენ. ისინი აქტიურად ერთვებიან სხვადასხვა ღონისძიებაში და თანხასაც აგროვებენ პაციენტების დასახმარებლად.

– რას გულისხმობს სკრინინგ-პროგრამა და როგორია მიმართვიანობა?

– სკრინინგი არის პროგრამა, რომელიც გულისხმობს უსიმპტომო ადამიანების გამოკვლევას ანუ ჯანმრთელი ადამიანი წელიწადში ერთხელ უნდა იტარებდეს სკრინინგს, რათა ადრეულ სტადიაზე მოხდეს ძუძუს კიბოს დიაგნოსტიკა. ძუძუს კიბო ყველაზე გავრცელებული სიმსივნეა ქალბატონებში, როგორც საქართველოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთაც, თუმცა განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, ჩვენთან სკრინინგ-პროგრამაზე მომართვიანობა საგრძნობლად დაბალია და უფრო ხშირად, მოგვიანებით სტადიაზე ხდება დიაგნოსტიკა, რაც სავარაუდოდ, კავშირშია, როგორც სოციალურ მდგომარეობასთან, ასევე, პაციენტების ნაკლებ ინფორმირებულობასთან. საზოგადოება არ ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საქართველოში არსებობს სკრინინგ-პროგრამა, რომელიც უფასოდ იკვლევს ქალბატონებს 40-დან 70-წლამდე, სიმსივნის ადრეულ სტადიაზე აღმოჩენის მიზნით.

– რამდენი ხანია, რაც სკრინინგ-პროგრამა არსებობს და რა სახის გამოკვლევები ტარდება?

– წლებია, ეს პროგრამა არსებობს. სკრინინგი 2008 წელს, თბილისის მერიისა და „იუნისეფის“ კოლაბორაციით დაიწყო. მას შემდეგ, გავრცელდა მთელ ქვეყანაში და ამჟამად, ხუთ ქალაქში მოქმედებს – თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, გორსა და გურჯაანში. თბილისში, სკრინინგის სამი ცენტრი არსებობს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, პაციენტებს უტარდებათ გამოკვლევები, როგორებიცაა მამოგრაფია, ექსკოპია და საჭიროების შემთხვევაში, ციტოლოგიური კვლევაც კი.

– თამარ, რა არის ძუძუს კიბოს გამომწვევი მიზეზები, რისკ-ფაქტორები და შესაძლებელია თუ არა დაავადების თავიდან არიდება?

– ძუძუს კიბოს გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს, როგორც წარსულში ძუძუს კიბოს დიაგნოზის არსებობა,



ონკოლოგ თამარ ესაკიას ეს ინტერვიუ ყველა ქალბატონმა უნდა ჩაიკითხოს!

ბა, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახის ისტორია და გენეტიკური მიზეზები, მაგალითად, ჰქონდათ თუ არა ადამიანის პირველი რიგის ნათესავებს ძუძუს კიბო. არსებობს, ასევე, ჰორმონალური მიზეზები, ცხოვრების სტილი, კვებითი და ეკოლოგიური მიზეზები. შესაძლოა, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება იყოს ძუძუს კიბოს განვითარების რისკ-ფაქტორი, ასევე, ჭარბი წონა და ფიზიკური აქტივობის არქონა. მნიშვნელოვანია რადიაციული ზემოქმედებაც, რომელიც შესაძლოა, სამედიცინო მკურნალობის შემდგომ განვითარდეს. მაგალითად, თუ პაციენტს ჩატარებული აქვს სხივური თერაპია გულმკერდის არეში, ლიმფომების დიაგნოზის შემთხვევაში, სწორედ ეს ზრდის ძუძუს კიბოს განვითარების რისკს. გარდა ამისა, რისკი იზრდება მაშინაც, თუ პაციენტი ბირთვული აფეთქებების არეალში მოხვდა.

რაც შეეხება ჰორმონალურ ზემოქმედებას, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად დავასახელებ ქალის ჰორმონებს, რაც უფრო დიდხანსაა ქალბატონი ჰორმონების ზემოქმედების ქვეშ, მით უფრო იზრდება ძუძუს კიბოს განვითარების რისკი. თუ ადრეულ ასაკში – მენარქე, ან გვიანდელ ასაკში – მენოპაუზა დადგა, ამ შემთხვევაშიც იზრდება ძუძუს კიბოს ჰორმონდადებითი ფორმის განვითარების რისკი. მნიშვნელოვანია მენოპაუზის შემდგომ, ჰორმონჩანაცვლებითი მკურნალობა, რომელიც ხანგრძლივ პერსპექტივაში, შეიძლება, ძუძუს კიბოს განვითარების რისკად იქცეს, ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, გინეკოლოგები უნდა იყვნენ ძალიან ფხიზლად. ბოლო პერიოდში, ძალიან აქტიურადაა დანერგილი ჩანაცვლებითი ჰორმონოთერაპიის მკურნალობა. როდესაც ექიმი გინეკოლოგი ნიშნავს ჰორმონჩანაცვლებით მკურნალობას, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სხვა რისკ-ფაქტორები, რომლებიც პაციენტს შეიძლება ჰქონდეს და სწორედ ამის მიხედვით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ასევე, რისკ-ფაქტორს წარმოადგენს კონტრაცეპტივები. ბოლო პერიოდში, კონტრაცეპტივების ხანგამოშვებითი მიღების პრაქტიკა აქტიურად დაინერგა იმისთვის, რომ კიბოს განვითარების რისკი არ გაზრდილიყო.

– პაციენტის ოჯახის ისტორიის ფაქტორი ახსენეთ, რას იტყვით ძუძუს გენეტიკურ კიბოზე?

– მუტაციები, რომლებიც ვლინდებიან გენური ტესტირებისას. BRCA გენური ტესტი სისხლის ტესტია, რომელიც იყენებს დნმ-ის ანალიზს, რათა გამოავლინოს მანვე ცვლილებები (მუტაციები) სარძევე ჯირკვლის კიბოს გამომწვევ გენებში, რომლებიცაა – BRCA1

და BRCA2. 2013 წლის 16 თებერვალს, ჰოლივუდის ვარსკვლავს, ანჯელინა ჯოლის ჩაუტარდა ორმხრივი მასტექტომია იმ მიზეზით, რომ გენური ტესტირებისას, BRCA1 მუტაცია გამოუვლინდა. ეს მიანიშნებდა, რომ ჯოლისთვის ძუძუს კიბოს განვითარების რისკი 87% იყო, ხოლო საკვერცხის კიბოსი – 50%. მასტექტომიამ კიბოს განვითარების რისკი 5%-მდე შეამცირა. აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში, ანჯელინას დედა ებრძოდა ძუძუსა და საკვერცხის კიბოს. გენეტიკური მუტაციებით გამოწვეული ძუძუს კიბო გვხვდება 8-10%-ში და მასზე გამოკვლევა უნდა ჩატარდეს, არსებობს თუ არა გარკვეული წინაპირობები, მაგალითად, თუ თქვენს ორ ან მეტ სისხლით ნათესავს (მშობლებს, დას ან შვილებს) დაუდგინდათ ძუძუს კიბოს დიაგნოზი ადრეულ ასაკში, ან გყავთ თუ არა ნათესავი, BRCA1, ან BRCA2 მუტაციით.

– თამარ, პაციენტებს ახალი მეთოდებით თუ მკურნალობთ და რამდენად შედეგიანია ეს მკურნალობა?

– იქიდან გამომდინარე, რომ ონკოლოგია ძალიან განვითარებადი დარგია, სტანდარტული მკურნალობის პროტოკოლები ყოველწლიურად იცვლება და იქმნება ახალი სტანდარტები. რაც შეეხება მკურნალობის მეთოდებს, რასაც, ძირითადად, ძუძუს კიბოს მკურნალობაში, მის ადრეულ სტადიაზე წარმოადგენს ქირურგიული მკურნალობა, ასევე, ქიმიოთერაპია, ტარგეტული თერაპია, იმუნოთერაპია, ჰორმონოთერაპია, რომელიც ნებისმიერ სტადიაზე შეიძლება გამოვიყენოთ და სხივური თერაპია, ხელმისაწვდომია საქართველოშიც. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, ფეხი ავუწყოთ ამერიკულ და ევროპულ სტანდარტებს და მკურნალობა ჩავატაროთ იმ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რაც მთელ მსოფლიოში არსებობს. ხანდახან იქმნება ბარიერები იმის გამო, რომ ახალი წამლები, იმუნოთერაპია და ტარგეტული თერაპია ძვირადღირებულია, თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ ის პრეპარატები, რომლებიც საქართველოშია რეგისტრირებული, ფინანსდება საყოველთაო დაზღვევის პროგრამით. გარდა ამისა, არსებობს ძალიან კარგი პროგრამა HER2 – დადებითი ძუძუს კიბოსთვის, რომელიც თბილისის მერიამ დაიწყო და შემდგომ გავრცელდა მთელ საქართველოში. ეს ის ტარგეტული პრეპარატებია, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმ პაციენტებისათვის, რომლებსაც HER2 – დადებითი ძუძუს კიბო აქვთ. საქართველოსთვის ეს პროექტი იყო და არის ძალიან მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ ამ მკურნალობის გარეშე, პაციენტებისთვის ერთადერთი გზა იყო სიკვდილი. მას შემდეგ, რაც ეს პროგრამა ამოქმედდა, პაციენტებს აქვთ საშუალება, ჩაიტარონ მკურნალობა საკმაოდ ძვირადღირებული პრეპარატებით, რაც საყოველთაო დაზღვევის პროგრამით, 80%-ით ფინანსდება.

– რას ეტყვით იმ ქალბატონებს, რომლებსაც ჯერ არ სმენიათ სკრინინგ-პროგრამის შესახებ ან, უბრალოდ, არ გაუმახვილებიათ ყურადღება?

– მინდა, ქალბატონებს ვურჩიო, რომ აუცილებლად ჩაიტარონ სკრინინგული გამოკვლევები. ხშირად, ეს შიშთანაა კავშირში. ჩემთვისაც უთქვამთ, არ მინდა მივიდე გამოკვლევაზე, არ მინდა მოვისმინო რამე ცუდიო, მაგრამ რეალურად, თუ ჩვენ ეს დაავადება გვაქვს, სჯობს, დროულად შევიტყოთ, მაშინ, როდესაც გამოჯანმრთელებაზე იქნება საუბარი და არა – მოგვიანებით სტადიაზე. 40-დან 70 წლამდე ქალბატონებმა აუცილებლად უნდა ჩაიტარონ სკრინინგ-გამოკვლევები და აქვე ვიტყვი, არა მარტო ძუძუს, არამედ, საშვილოსნოს ყელის სკრინინგის პროგრამაც არსებობს საქართველოში. იმ პაციენტებს კი, რომლებიც ამჟამად, ძუძუს კიბოზე მკურნალობენ, მინდა ვუთხრა, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ჰქონდეთ სწორი განწყობა დაავადების მიმართ, რადგან ამ სწორი ფსიქოლოგიური განწყობით შევძლებთ სიმსივნესთან ბრძოლას.

რა სიმპტომები აქვს კლუბურ ნარკოტიკში ბარეული „ფენტანილის“ ზედოზირებას

ბია ბრიგალაშვილი

საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოში, ე.წ. კლუბური ნარკოტიკი საკმაოდ პოპულარულია და უამრავი ადამიანი მოიხმარს. ყველა კლუბური ნარკოტიკი ერთმანეთისგან განსხვავდება, როგორც ქიმიური შემადგენლობით, ისე – ჯანმრთელობაზე შესაძლო ზეგავლენით. მომხარებლებს მათი შექმნა არალეგალურად, შავ ბაზარზე უწევთ, სადაც შემადგენლობის გადამონმების გზები თითქმის არ არსებობს. შესაძლოა, მყიდველი ფიქრობს, რომ MDMA იყიდა, მაგრამ გამორიცხული არაა, ნაყიდ მასალაში სხვა, მომაკვდინებელი ნივთიერებაც იყოს შერეული. MDMA ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბური ნარკოტიკია მთელ მსოფლიოში. მისი მიღება იწვევს ერთგვარ ეიფორიას, ზრდის ემპათიას, მუსიკასა და კლუბში გამოყენებულ განათებას უფრო სასიამოვნოს ხდის, რადგან ადამიანის შეგრძნებებს ამძაფრებს, თუმცა ამ ნარკოტიკის მიღებას თავისი გვერდითი ეფექტებიც ახლავს. რამდენიმე დღის წინ, ორგანიზაცია „მანდალამ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ MDMA-ის ყველა ნიმუში შეიცავს „ფენტანილს“, რაც სასიკვდილოა... „ასეთი სავალალო მდგომარეობა, ჩვენი ხუთწლიანი პრაქტიკის მანძილზე, არ გვახსოვს. საუბედუროდ, სულ რაღაც ბოლო კვირებში, უკვე რამდენიმე ახალგაზრდა ადამიანი დაიღუპა ზედოზირებით გამოწვეული მიზეზით. „ფენტანილს“ აქვს 30 საათზე მეტხნინანი ზემოქმედება მაშინ, როდესაც MDMA-ის მოქმედება სამ-ოთხ საათს გრძელდება ანუ ღამის განმავლობაში რამდენჯერმე მოხმარების შემთხვევაში, როცა დილით, სტიმულატორისგან ფხიზელი ბრუნდები სახლში, ღამით მიღებული თუნდაც მცირე კონცენტრაციის „ფენტანილი“ ბოლოს ერთდროულად ზემოქმედებს ორგანიზმზე, ამას ემატება გადაღლილი და გამოფიტული ორგანიზმი, რაც საბოლოო ჯამში, ძლიერ მოდუნებასა და ძილიანობას იწვევს. სწორედ ამ დროს დგება ზედოზირებით გამოწვეული წელი სიკვდილი“, – წერია გაავრცელებულ ინფორმაციაში. რა სიმპტომები ახასიათებს კლუბურ ნარკოტიკში გარეულ მომაკვდინებელ ნივთიერება „ფენტანილს“ და როგორ უნდა მოვიქცეთ მისი გამოვლენის დროს? – „ვერსია“ დამოკიდებულებების კვლევითი ცენტრ „ალტერნატივა ჯორჯიას“ წარმომადგენელს, თაბო მღებრიშვილს ესაუბრა...

– თაკო, რა ტიპის ნივთიერებათა ჯგუფს მიეკუთვნებიან „მეტამფეტამინი“ და „ფენტანილი“ და როგორი მოქმედება ახასიათებთ?

– „ფენტანილი“ სინთეზური ოპიოიდი, რომელსაც ისეთი ტრადიციული ოპიოიდური ნარკოტიკული საშუალებების მსგავსი მოქმედება აქვს, როგორცაა, მაგალითად, „ჰეროინი“, თუმცა მასზე 50-100-ჯერ უფრო ძლიერი და გაცილებით უფრო სახიფათოა. „ფენტანილის“ მცირე დოზაც კი საკმარისია, რომ იგივე შედეგი მივიღოთ, რაც „ჰეროინის“ მოხმარებისას. აქედან გამომდინარე, ხშირად დგება ზედოზირების შემთხვევები, რაც სუნთქვის გაძნელებით იწყება.

რაც შეეხება „მეტამფეტამინს“, ეს საერთოდ სხვა ტიპის ფსიქოაქტიური ნივთიერებაა, რომელიც სტიმულატორების ჯგუფის წარმომადგენელია და „ფენტანილის“ საპირისპირო ეფექტს იწვევს, კერძოდ, ენერჯის მოზღვავენ. მას, ძირითადად, საკლუბო სივრცეში მოიხმარენ. ბოლო დროს, ენერჯის მომაზღვაველ ისეთ კლუბურ ნარკოტიკში, როგორცაა MDMA, „ფენტანილის“ შემცველობა დაფიქსირდა. ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ მომხმარებლები და რადგან



ყველაფერი მომაკვდინებელ ნარკოტიკზე – რატომ არ არსებობს საქართველოში ზედოზირების სტატისტიკა

არ აქვთ წარმოდგენა, თუ რას იღებენ, კიდევ უფრო იზრდება ზედოზირების რისკი.

რაც შეეხება სიმპტომებს, თუ ნარკოტიკი შეიცავს „ფენტანილს“, მას ახასიათებს ძილიანობა, თვალების შევიწროებული გუგები და სუნთქვის უკმარისობა. ეს არის ძირითადი გამოვლინებები, რომლებიც სტიმულატორის მომხმარებელი უნდა მიხვდეს, რომ საქმე აქვს ოპიოდთან, რადგან სტიმულატორს ასეთი სიმპტომები არ ახასიათებს.

– თუ ფლობთ ინფორმაციას, ან როგორ ფიქრობთ, რატომ ურევნენ ნარკოტიკების გამსაღებლები კლუბურ ნარკოტიკში ამ მომაკვდინებელ ნივთიერებას?

– ძირითადი მიზეზი დაბალი ფასი და გადაზიდვის სიმარტივეა, გარდა ამისა, მცირე დოზაც კი საკმარისია ბევრი ადამიანისთვის, თუმცა ზუსტი მიზეზი, რა თქმა უნდა, უცნობია.

– სად შეიძლება გატესტოს მოქალაქემ ნარკოტიკი?

– საქართველოში მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაცია „მანდალამ“ აქვს ასეთი ტიპის მომსახურება და ორ ადგილზე ტესტავს ნარკოტიკს. ერთი ფესტივალზე, სადაც აქვთ ხოლმე კარავი და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მივიდეს და აიღოს რეაგენტ ტესტერები და მეორე – ცენტრში, რომელიც მდებარეობს თბილისში. ასევე, ამ ტესტერის ინტერნეტით გამოწერაც შეიძლება, თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოში არ იყიდება.

– იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი მიიღებს ნარკოტიკს, რომელშიც აღმოჩნდება სახიფათო ნივთიერება, როგორ უნდა მოიქცეს სიმპტომების დაწყებისას?

– ყოველთვის იქნებიან ადამიანები, რომლებიც გატესტავენ, აღმოაჩენენ, რომ ნარკოტიკი „ფენტანილს“ შეიცავს და მაინც მიიღებენ, ან რაღაც მიზეზის გამო ვერ გატესტავენ, ამიტომ აუცილებელია, თან ჰქონდეთ „ნალოქსონი“, იგივე „ნარკანი“, რომელიც ოპიატების ზედოზირების ანტიდოტია, რაც ნიშნავს, რომ ანეიტრალებს ოპიატების ეფექტს და ამით შეიძლება გადავარჩინოთ სიცოცხლე. ასევე, გვერდით უნდა ჰყავდეს ისეთი ადამიანი, ვინც იცის, როგორ უნდა მოიქცეს ზედოზირების დროს.

– სამწუხაროდ, უმეტესობამ არ იცის, რა უნდა გააკეთოს ასეთ დროს, როგორ უნდა ვიმოქმედოთ, თუ ადამიანს ზედოზირების სიმპტომები გამოუვლინდება?

– მას შემდეგ, რაც შეძლებენ ზედოზირების ნიშნების იდენტიფიცირებას, აუცილებელია, დარეკონ სასწრაფოში, თუ „ნალოქსონი“ აქვთ, გაუკეთონ კუ-

ნთში და დაანვიზონ უსაფრთხო პოზაში (გვერდზე), რომ გულის რევის დროს, სასუნთქი გზები არ დაიხშოს, ასევე, შეიძლება, აუცილებელი გახდეს ხელოვნური სუნთქვის ჩატარება. სახელმძღვანელო, თუ როგორ უნდა მოიქცეთ ზედოზირების დროს, „ალტერნატივა ჯორჯიას“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული და ყველას შეუძლია გაეცნოს.

რაც შეეხება „ნალოქსონს“, ჩვენს ოფისში უფასოადაა ხელმისაწვდომი. ადამიანებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ, ან ავთიაქში, „ნარკანის“ სახელწოდებით შეიძინონ.

– არის თუ არა საგანგაშო სიტუაცია ქვეყანაში, რამდენად ხშირია ზედოზირების ფაქტები, ან მომაკვდინებელი ნივთიერების შემცველი ნარკოტიკის გაავრცელება?

– სამწუხაროდ, ზედოზირების სტატისტიკა არ გვაქვს, რადგან მსგავს სტატისტიკას სახელმწიფო არ აწარმოებს და ზედოზირების შემთხვევაში, არ შეგვიძლია დავადგინოთ, რომელმა ნარკოტიკულმა საშუალებამ გამოიწვია ის. ორგანიზაცია „მანდალამ“ გამოაქვეყნა ბოლოდროინდელი მონაცემები, სადაც აღნიშნულია, რომ მათ მიერ გატესტილი ნარკოტიკული საშუალებებიდან, უმეტესობა, „ფენტანილის“ მინარევს შეიცავდა.

– სახელმწიფომ რა ღონისძიებები უნდა გაატაროს, რომ თუ ასეთ სიტუაციებს ვერ აღმოფხვრის, შეამციროს მაინც?

– საქართველოში არ არსებობს ის გზები, რომლებიც შეიძირდება მსგავსი ზიანი. ყველაზე წარმატებული და დანერგილი პრაქტიკა მსოფლიოში, წინასწარი გაფრთხილების სისტემაა, რომელიც გულისხმობს ბაზარზე შემოსული ნარკოტიკული საშუალების წინასწარ შემოწმებას და შემდეგ ინფორმაციის გაავრცელებას მოსახლეობაში, თუ რა სახის ნარკოტიკული საშუალებებია იმ დროისთვის ბაზარზე. საქართველოში ამგვარი მექანიზმის დანერგვის საშუალებით, ადამიანები დაიწყებდნენ ტესტირებას, იქნებოდნენ ინფორმირებულნი, ან თავს შეიკავებდნენ მოხმარებისგან.

– ამისთვის, ალბათ, ნარკოპოლიტიკაც უნდა შეიცვალოს...

– დიახ, ეს დიდი ბარიერია, მაგალითად, ორგანიზაცია „მანდალამ“, რომელიც ამ ნარკოტიკულ საშუალებებს ტესტავს, არ შეუძლია, გამოართვას ბენეფიციარებს ნარკოტიკული საშუალება და თავად გატესტოს, ამიტომ მათ აძლევენ რეაგენტ ტესტერებს და თავად მომხმარებლები ტესტავენ ნარკოტიკს.



ბათო ჯაფარიძე

შესაძლოა, ბევრს გაეცინოს, მაგრამ დღესაც კი, არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა მამაკაცს ორი ცოლი ჰყავს. ეს განსაკუთრებით მთაში შეიმჩნევა და ორცოლიანებიც უფრო ხანში შესულ მამაკაცებს შორის გვხვდებიან. მეუღლეები შესმატებულად ცხოვრობენ და ერთმანეთს ხელს არ უშლიან. ადრე, მთაში ასეთი შემთხვევები უფრო ხშირი იყო და ეს, იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა კანონმდებლობა ამას კრძალავდა. მუშახელი ოჯახში, სოფლად, ყოველთვის ძვირად ფასობდა, მით უმეტეს, გამრჯე ქალის ყოლა და თუ ბედით ან უბედობით ერთ ჭერქვეშ ორი ქალი იქნებოდა, ხშირ შემთხვევაში, ისინი ერთმანეთს ხელს არ უშლიდნენ და ქმარიც ბედნიერი იყო. ეს სოფლად, თორემ ქალაქად ასეთი რამის გაგონებაც კი სასწაულთან იყო გაიგივებული.

აჭარის რეგიონში ახალგაზრდა ქალი გარდაცვლილი იპოვეს. ის უთოზე მიერთებული დენის მავთულით იყო გაგუდული და როცა თბილისიდან განსაკუთრებულ საქმეთა გამოძიების განყოფილებიდან ორი გამოძიებელი გაუშვეს, ბევრს გაუკვირდა. რიგითი მკვლელობა, არანაირი იდუმალება, მკვლელის დაკავება დროის ამბავი იყო და თითქოს არც იმის საჭიროება იყო, რომ საქმეში განსაკუთრებულ საქმეთა განყოფილება ჩართულიყო.

„როცა ადგილზე ჩავედი და გარდაცვლილის მეუღლე დავკითხე, ყველაფერს მივხვდი. ის არ მალავდა, რომ მისი ცოლი მოკლეს და გარდაცვლილი... ცოლმა იპოვა. ჰო, მას ორი ცოლი ჰყავდა და რაც მთავარია, ამის შესახებ მთელმა სოფელმა იცოდა, მაგრამ ხმამაღლა არავინ ამბობდა. ეს ამბავი არ უნდა გახმაურებულიყო, საბჭოთა კავშირში ორცოლიანობა, უბრალოდ, არ შეიძლებოდა. ეს ყოველწლიურ მორალურ ნორმებს ეწინააღმდეგებოდა და პარტიულ ნომენკლატურას თუ დავუჯერებდით, უცხოელებს რომ გაეგოთ, თავი მოგვეჭრებოდა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლიკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

როგორც გარდაცვლილის მეუღლემ თქვა, მეორე ცოლი ქმარმა ორი წლის წინ, „შემთხვევით“ მოიყვანა, თუმცა სამოქალაქო ქორწინებაში ანუ ოფიციალურად მხოლოდ პირველ ცოლთან იყო. ალბათ, არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ სამართალდამცავებს ყველა დეტალი აინტერესებდათ, რომელ ცოლთან წვებოდა ღამით, ჰქონდა თუ არა გრაფიკი, ვინ ამზადებდა სადილს, რომელთან ერთად დადიოდა, მაგალთად, წვეულებებზე, ქორწილებში, გასვენებებში... მამაკაცი ყველაფერ ამას ძალზედ ჩვეულებრივად პასუხობდა და ძალიან ნუხდა იმაზე, რომ ერთი ცოლი დაკარგა. ჰო, მისი მიყვანის ისტორია საინტერესო იყო. ორი წლის წინ, კაცი შინ ბრუნდებოდა, გზად დაინახა, რომ ღამის პერანგსა და სახლის ფაჩურებში ვიღაც გარბოდა. მანქანა გაუჩერა, ჰკითხა, დახმარება ხომ არ გინდაო, ის ქალი კი მანქანაში ჩახტა და შეევედრა, აქედან წამიყვანე, ქმარი მოკვლას მიპირებსო. ქალის დასისხლიანებულ სახეს რომ შეხედა, კაცი მიხვდა, რომ ყველაფერი რიგზე ნამდვილად არ იყო და ქალი პირდაპირ შინ მიიყვანა. ცოლმა მოუარა, დაბანა, საკუთარი ტანისამოსი მისცა და ძალიან გაუხარდა, რომ მეორე დღესვე, სტუმარი ქალი მზად აღმოჩნდა, ოჯახის ოთხი შვილი დაეტოვებინა, მოეველო, მეცადინეობაში დახმარებოდა, ცოლ-ქმარი კი ქორწილში წავიდა სტუმრად.

„პირველი ერთი კვირა ნამდვილად მიხაროდა, სახლში დამხმარე გამომიჩნდა, სახლიც დიდი გვაქვს, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ქმარი სხვანაირად უყურებდა ჩვენს სტუმარს და ვთქვი კიდევ, ეგებ, წასვლის დრო მოვიდა-მეთქი, მაგრამ მათ უკვე ყველაფერი მოლაპარაკებული ჰქონდათ – გადწყვეტილება მიიღეს, რომ ერთად უნდა გვეცხოვრა. რა უნდა მექნა? ოთხი შვილით სად წავსულიყავი და დავთანხმდი. საბუთებით, ჩემი ქმარი იყო, ის კი, ხან იმასთან წვებოდა, ხან – ჩემთან, დიდ მნიშვნელობას ამას არც ვანიჭებდი“, – განაცხადა ცოცხალმა ცოლმა.

ორცოლიანი კაცის ტრაგიკული ამბავი

ვინ მოკლა ახალგაზრდა ქალი და რა ალიბი ჰქონდა ქმრის პირველ ცოლს



რაც შეეხება ალიბის, ქმარი სამსახურში იყო და ოთახში, სადაც ის მუშაობდა, მის გარდა, კიდევ ოთხი თანამშრომელი იმყოფებოდა, რომლებმაც დაადასტურეს, რომ მამაკაცი მხოლოდ ორჯერ გავიდა ოთახიდან და ისიც საპირფარეოში, სადღილი კი პირდაპირ ოთახში გაშალეს – ძეხვი, პური და ყველი მალე შეიჭამა. რაც შეეხება ქალს, ის არ მუშაობდა, მაგრამ იმ დღეს სახლში იმიტომ არ იყო, რომ დედამ გამაჯანსაღებელ ცენტრში... შოკოლადის მასაჟის ბილეთი აჩუქა. ეს მასაჟები მაშინაც კეთდებოდა და რაც მთავარია, საკმაოდ ძვირი ღირდა. ქალი სწორედ იმ ცენტრში იმყოფებოდა, მაგრამ როცა გადაამოწმეს...

„გეთანხმებით, ის ქალბატონი პროცედურებზე იყო ჩანერილი, ცენტრში მოვიდა, წინასწარი მასაჟებიც გაიარა, შემდეგ ცხელი შხაპი მიიღო, მაგრამ ყველაზე მთავარ პროცედურაზე, შოკოლადის შეფუთვაზე არ შემოსულა. ამ დროს, ნამდვილ შოკოლადში მთლიანად ვმალავთ კლიენტს“, – განუცხადეს სანატორიუმში და გამოძიებლები არც დაფიქრებულან, ქალი ისე დააკავეს. მიზეზი მხოლოდ ალიბის არქონა კი არა, ის იყო, რომ ნახეს ტაქსისტი, რომელმაც ქალი ნამოიყვანა და... სახლთან ახლოს, დაახლოებით, 200 მეტრში ჩამოსვა. გამოძიებლების აზრით, ეს იმას ნიშნავდა, რომ ქალს არ უნდოდა, მეზობლებს შეემჩნიათ, როგორ გადმოდოდა ტაქსიდან, შინ შეიპარა და კონკურენტი მოკლა. საბაბი კი... ექსპერტიზამ აჩვენა, გარდაცვლილი ქალი ორსულად იყო, თუმცა ექსპერტი იმასაც ამბობდა, ნაყოფი იმდენად პატარაა, დიდი შანსია, გარდაცვლილს ორსულობის შესახებ არაფერი სცოდნოდა. ჰოდა, ერთია, როცა კაცს მეორე ცოლი მოჰყავს სახლში და მეორე, როცა ეს ქალი ორსულდება და ოთხ შვილს მემკვიდრეობაში ახალი მონილე უჩნდება.

„მე პროფესია არ მაქვს. როცა ქმარმა მეორე ცოლი მოიყვანა, მივხვდი, რომ ადრე თუ გვიან, შესაძლებელი იყო, ერთმანეთს დავეშორებოდით. ამიტომ, ქმრისგან მალულად, მკერავის კურსები გავიარე და იმ დღეს, როცა დედაჩემმა რაღაც სალონის ვაჟი შემიტყნა, გამოცდა მქონდა. გამოცდას ვერ გავაცდენდი, ნამოვები და ჩავაბარე“, – განაცხადა ქალმა, მაგრამ გამომცდელის დაკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ ქალი სწორედ იმ დროს გათავისუფლდა გამოცდებიდან, როცა შეეძლო, შინ მისულიყო და მეტოქე მოეკლა. შესაბამისად, ქალი დააკავეს და მკვლელობაში ბრალი წაუყენეს, მაგრამ ექსპერტი თავს აქნევდა, ის ქალი ვინც გაგუდა, მასზე მალალი თუ არა, მისი სიმაღლე მაინც უნდა ყოფილიყო და თქვენი ეჭვიმტანილი ამას ვერაფრით მოახერხებდაო.

დაკავებიდან, დაახლოებით, ოთხ საათში, ქალმა გამოძიებელთან შეხვედრა მოითხოვა, აღიარებითი ჩვენება უნდა მიეცეო.

„ამაყად შევედი დასაკითხ ოთახში. ხუმრობა ხომ არ იყო, 48 საათიც კი არ დამჭირებია მკვლელის დასაკავებლად. ის კი ჩვენების მოცემას აპირებდა, აღიარებითი ჩვენების. ამიტომ, სავარძელზე კი არ დავჯექი, ჩავნექი და მოსასმენად მოვემზადე“, – იხსენებს ბატონი თენგიზი. ქალმა კი...

„იქიდან რომ წამოვედი, აქვე, მეზობელ კაცთან შევედი. საყვარლები ვართ. ჩემს ქმარს თუ აქვს უფლება, სხვა ქალი სახლში მოიყვანოს, მეც მაქვს უფლება, სხვა კაცთან ვიარო. იქ ვიყავი, დაგიდასტურებთ ის კაცი, ოლონდ, ჩემმა ქმარმა არ უნდა გაიგოს“, – სხაპასუხით მიაყარა დაკავებულმა და... მეზობელმა მამაკაცმა ყველაფერი დაადასტურა.

რა თქმა უნდა, გამოძიებლებმა გარდაცვლილის ქმარიც მოძებნეს, მაგრამ ის სამი კვირის გარდაცვლილი იყო – ავარიში დაიღუპა, თუმცა ქალისთვის არავის უცნობებია, რადგან... მეზობლებმა, უბრალოდ, არ იცოდნენ, სად იმყოფებოდა. ქმარიც ეძებდა, მაგრამ ვერაფერი გაიგო და ხელი ჩაიქნია. ქმარი ძმამ დამარხა, მის სახლსაც ახლა ის პატრონობდა და რძლის მკვლელობამ ძალიან დაამწუხრა, ბედი არ ჰქონია ჩემს ძმას, თავადაც დაიღუპა და ცოლიც მალევე მიჰყვაო. განყოფილებაში დაბრუნებულ გამოძიებელს სიურპრიზი ელოდა – იქ დაკავებული ქალის დედა იყო მისული და ცეცხლი დაანთო:

„ჩემი შვილის დაჭერა როგორ გაბედეთ? ის უნესო ქალი ჩაუსახლდა ოთხი შვილის დედას, ქმარს უყოფდა.. მე ვიცი, ვინც მოკლა, ყოფილმა ქმარმა, პირადად ველაპარაკე“...

„მაქსიმალურად შევეცადე დამემშვიდებინა. ავუხსენი, რომ მისი შვილის ალიბი დამტკიცდა, მართალია, ცოტა უხერხული ალიბი, მაგრამ ჩვენ არაფერს გავახმაურებდით. რაც შეეხება გარდაცვლილის ქმარს, ისიც მკვდარი იყო და ვერ მოკავდა ცოლს“, – გვიყვება ბატონი თენგიზი, მაგრამ როგორც კი ქალს უთხრა, რომ მოძალადე ქმარი მკვდარი იყო, ქალი ისევ აფეთქდა, რას ჰქვია სამი კვირის მკვდარია, ცოტა ხნის წინ, პირადად ველაპარაკეო. ქალმა თქვა, რომ შვილის მდგომარეობაზე ძალიან ნუხდა, ვილაცხვებოდა შვიტყო, სად ცხოვრობდა ის ქალი, მერე ბინის ტელეფონი გაიგო, დარეკა, ქმარი სახელითა და გვარით იკითხა, მაშაქცამა დაუდასტურა, მე ვარო და შემდეგ უთხრა, სადაც იმყოფებოდა მისი ცოლი. კაცი დაპირდა, აუცილებლად წავიყვანო და მადლობაც გადაუხადა. როგორც შემდეგ გაირკვა, ქალმა ზარი მამაკაცის გასვენების დღეს განახორციელა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისი სახელით სხვამ უპასუხა, მაგრამ ვინ?!

„ბევრი რომ არ გავაგრძელო, ეჭვი ძმაზე მივიტანეთ, რადგან უფროსი ძმის გარდაცვალების შემდეგ, ყველაფერი მას რჩებოდა და ყველაფერში არა მარტო რეგიონში ბინა და სახლი, არამედ, თბილისის ბინაც შედიოდა. მით უმეტეს, მისი ცოლი დაკარგული იყო, შვილი კი არ ჰყავდათ. ჰოდა, სწორედ ამ დროს, ვიღაც ქალი რეკავს და ამბობს, რომ გარდაცვლილი კაცის ცოლი ცოცხალია. ეს ქონების დაკარგვას ნიშნავდა. ამიტომ, ძმამ რძალი ძალიან მარტივად გაიმეტა, სახლთან დაუდარაჯდა და როგორც კი მარტო დაიგულა, გაგუდა“, – დაასრულა მოყოლა პოლიკოვნიკმა.

და მთავარი – სასამართლომ ორცოლიანობა პროცესზე საერთოდ არ ახსენა, მხოლოდ ის თქვა, რომ ქალი თავს ახლობელ ადამიანებთან აფარებდა და მალბმა... სავარაუდოდ, ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა.

„ვარდების რევოლუციის“ გარიჟრაჟზე ბევრი ისეთი რამ მოხდა, რაც საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია. ერთ-ერთი პირველი, ვისაც „რეფორმატორები“ დაერივნენ, ძალოვანი უწყების თანამშრომლები გახლდნენ. მათ, უბრალოდ, სამსახურებიდან ყრიდნენ, გამომძიებლებს დაწყებულ საქმეებს ართმევდნენ და ართმევდნენ ისე, რომ არც ეკითხებოდნენ, რა ეტაპზე იყო ძიება, რას ფიქრობდა გამომძიებელი. ძალოვნების 90%-ს კორუპციისთვის იარაღი მიატოვეს და სინამდვილეში, რეალობა სხვაგვარი იყო. არავინ მალავს, რომ შევარდნაძის პრეზიდენტობის პირობებში, კორუფცია იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ფულს იღებდა და რაც მთავარია, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, კორუფცია ელიტური გახდა – ზედა ეშელონებში გადაინაცვლა და თუ მანამდე, საქმის მოგვარებას 10 ათასი სჭირდებოდა, „ნაციონალების“ პირობებში, ამ ციფრს ერთი წელი დაემატა. სწორედ მაშინ „გაიმასქნდა“ საქმე, რომელიც წესითა და რიგით, ხმაურიანი უნდა გამომდგარიყო, მაგრამ საქმე „დელიკატურ ძვირფასეულობას“ ეხებოდა.

1992 წელს, მაშინ, როცა საქართველოში სიმართლე იმის მხარეს იყო, ვისაც უფრო მეტი იარაღი ჰქონდა, ქვეყანა კონტრაბანდული ბრილიანტების სატრანზიტოდ გამოიყენეს. ბრილიანტების ტრანზიტის შესახებ ერთ-ერთმა საძმომ გაიგო, გზაზე გადამტანები დააყაჩაღეს, ჩაცხრილეს და საბოლოო ჯამში, ყველაფერი იმ გარჩევას დაემსგავსა, რომელიც მაშინ მრავლად ხდებოდა, თუმცა ინფორმაციამ გაჟონა და რაც მთავარია, ბრილიანტები შავ ბაზარზე გამოჩნდა. ნაწილის ამოღება სამართალდამცავებმა გადამყიდველებისგან მოახერხეს, ნაწილი უკვალოდ გაქრა, მაგრამ ძალოვნებმა იმდენი შეძლეს, რომ საქმეში ეჭვმიტანილები დააკავეს და ვინაიდან მათ ის „კანონიერი ქურდებიც“ ერჩოდნენ, რომლებიც ამ კონტრაბანდში იყვნენ გარეუღნი, გაასამართლეს და 10-10 წელიც ჩამოურიგეს. მათ შორის იყო ბანდის ბულალტერიც, რომლის მოვალეობაშიც შედიოდა ბრილიანტების გაყიდვა და ეს ბულალტერი „ზონაზე“ გადაყვანის შემდეგ, „კანონიერი ქურდების“ ხელში ჩავარდა. აბა, „ზონაზე“ ვინ გაითვალისწინებდა იმას, რომ კაცს გულის პრობლემები ჰქონდა და როგორც კი ცემა დაუწყეს იმის გასარკვევად, სად იყო შენახული ბრილიანტების დარჩენილი ნაწილი, მას გულის შეტევა დაემართა და... გარდაიცვალა. შემდეგ ბანდის სხვა წევრებს დაერივნენ, თუმცა ხელს ყველა ბულალტრის კენიშვერდა, იმან იცოდა, ჩვენ არაფერი ვიცითო. ასე შემოაკვდათ ყველა, გარდა ერთისა, რომელმაც ცემას გაუძლო და რაც მთავარია, ყველა დააჯერა, რომ ბრილიანტების შესახებ არაფერი იცოდა. ეს პიროვნება ციხიდან 2002 წელს გამოვიდა და მისი გამოსვლა დაემთხვა ბულალტრის ცოლის მკვლელობას. ქალი სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

„მისი მოკვლა ჯერ დანით სცადეს, ორჯერ დაარტყეს დანა ყელის არეში, შემდეგ სცადეს გაეგუდათ, ბოლოს კი, ბლაგვი საგანი ჩაარტყეს და მოკლეს. სავარაუდოდ, მკვლელი ქალია, რადგან დანის დარტყმის სიძლიერე, ყელზე თითების განლაგება და ბოლოს, ბლაგვი საგნით მიყენებული სამი ჭრილობა იმას მოწმობდა, რომ მკვლელი ძლიერი არ იყო და მოკვლას ვერ ახერხებდა“, – ენერა ექსპერტიზის დასკვნაში.

სამართალდამცავები, ყველა ლოგიკის გათვალისწინებით, ციხიდან გათავისუფლებულ კრიმინალს ეძებდნენ, მაგრამ ამაოდ – მის კვალს ვერ მიაგნეს. ყველა დარწმუნებული იყო, რომ მკვლელობა სწორედ მან ჩაიდინა. გარდაცვლილი ქალის ერთადერთმა შვილმა სახლი დაათვალიერა და აღნიშნა, რომ რამდენიმე ნივთი იყო დაკარგული, მათ შორის, ოქროს სამაჯური, არაფრით გამორჩეული შიშველი ქალის ქანდაკება და ასევე, არაფრით გამორჩეული ნახატი. გარდაც-

ელიტური ბრილიანტების სისხლიანი საიდუმლო



რატომ ფიგურირებს საქმეში ყოფილი ძალოვანი

ვლილის რძალი სახეს იხოკავდა, ის ოქროს სამაჯური ძალიან მნიშვნელოვანი ნივთი იყო, ოჯახის რელიქვია და წესით, მე უნდა მრგობოდა, მაგრამ იმას კი არ ვჩივი, რომ ოქროსი იყო, უბრალოდ, ოჯახისთვის ბევრს ნიშნავდაო. სამართალდამცავები დარწმუნებულები იყვნენ, რომ გათავისუფლებული კრიმინალის მოძებნის შემდეგ, საქმეს გახსნიდნენ, მაგრამ მასშტაბურ ძიებას ხელს ისიც უშლიდა, რომ ქუჩაში იმ დროს აქციები იყო და რიგით თანამშრომლებს ვინ ჩივის, ხალხის შესაკავებლად ქუჩაში განყოფილებების უფროსებიც იდგნენ.

სწორედ მაშინ, როცა საქართველოს ახალი ისტორია იწერებოდა, მტკვარში მამაკაცის გვამი იპოვეს. ტელევიზიებს მაშინ ამისთვის არ ეცალათ, რა გვამი და კრიმინალი, ქვეყანაში რევოლუციის სუნი იდგა. ძალოვნებს გაუკვირდათ, როცა გარდაცვლილში მათ მიერ ძებნილი კრიმინალი ამოიცივნეს და რაც მთავარია, ის ნანამები იყო. გამოდიოდა, რომ ვიღაცამ ის დაიჭირა, ანამა და შეეცადა, ბრილიანტების საიდუმლო დაეცდევინებინა, მაგრამ გამოუვიდა თუ არა, ვერავინ ამბობდა. ისიც გაირკვა, რომ გათავისუფლების შემდეგ, მოკლული დასთან, აფრიკის დასახლებაში ცხოვრობდა. გამომძიებლებმა ბინის ჩხრეკა ჩაატარეს, საინტერესო ვერაფერი იპოვეს, თუმცა დის ჩვენებამ ყველა გააოცა.

„როცა ჩემი ძმა ციხიდან გათავისუფლდა, ჩვენთან მოვიდა, ასე თქვა, უნდა დავისვენო, მერე ამ ქვეყნიდან გავასწრო, მომავალი არ აქვს არც ქვეყანას და არც ხალხსო. შემდეგ ვიღაც კაცი მოვიდა მის სახახავად, ვიფიქრე, ძველმა მეგობრებმა შეახსენეს თავი-თქო, მაგრამ მითხრა, ძველი მეგობრები აღარ მყავს, ყველა მკვდარია, ეს კაცი კი ყოფილი ძალოვანია, ერთ-ერთია იმათგან, ვინც დამიჭირაო. კი გამიკვირდა, მაგრამ არაფერი მითქვამს. ის კაცი მეორედაც მოვიდა, რაღაც დაძაბული საუბარი ჰქონდათ, აივნიდან ვუყურებდი, ხელებს უშლიდნენ ერთმანეთს. ჩემი ძმა არაფერს ამბობდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ დაიძაბა და მართლა გასწრებაზე იყო“, – განაცხადა დამ.

სამართალდამცავებმა 1992 წელს ჩატარებულ სპეცოპერაციაში მონაწილე ყველა სამართალდამცავის ფოტო მონახეს და დას ამოცნობაზე მიუტანეს. მან ხელი ერთ-ერთს დაადო, უკვე პენსიაზე მყოფ პოლიციელს და დაბეჯითებით თქვა, ჩემი ძმას სწორედ ეს აკითხავდაო. ერთ საათში, ყოფილი პოლიციელი დაკითხვაზე იჯდა და ჩვენებას აძლევდა. მან კატეგორიულად უარყო ბულალტრის ქვრივის მკვლელობა, თუმცა თქვა, რომ მას უთვალთვალებდა და მეტიც, ყოფილი კრიმინალი მის სახლთან თავად მიიყვანა, რათა იქიდან... იაფფასიანი, შიშველი ქალის ქანდაკება უნდა მოეპარა, რადგან ბრილიანტების ნაწილი სწორედ მის ძირში იყო დამარხული. ყოფილი პოლიციელი კრიმინალს დის მკვლელობით ემუქრებოდა და ეუბნებოდა,

საქმეში რამდენიმე კაცი ვართ და მე რომ რამე დამემართოს, შენს დას მაინც მოკლავენო.

„სახლთან მივიყვანე და ვდარაჯობდი. ის იქიდან მალე გამოვიდა და მითხრა, ქალი მკვდარია, ქანდაკება კი არსადაა, აშკარად ვიღაცამ დაგვასწროო. რა თქმა უნდა, არ დაუფიქრე, ჯერ იქ გავჩხრიკე, მერე წავიყვანე და ვანამე, მაგრამ ვერაფერი ვათქმევინე. ნამების დროს შემომაკვდა, არ მინდოდა მომეკლა. შემდეგ მეზობლები გამოვიკითხე, ძველი „ქსივა“ შემორჩენილი მაქვს და კარის მეზობელმა მითხრა, სანამ ის კაცი მოვიდოდა, მანამდე ბინაში რძალი იყო მოსულიო. მგონია, რომ რძალმა რაღაც გაიგო და ბრილიანტები მას აქვს“, – განაცხადა დაკავებულმა.

სამართალდამცავებმა რძლის ბინა გაჩხრიკეს და ქანდაკება ვერა, მაგრამ სამაჯური იპოვეს. სამაჯური საგულდაგულოდ კი იყო განმენდილი, მაგრამ ექსპერტიზამ გარდაცვლილი ქალის სისხლის კვალი მაინც აღმოაჩინა.

„წლებია, ქმართან და შვილთან ერთად, ერთობა-ხიანში ვცხოვრობ. დედამთილი ოთხობათხიან ბინას არ გვითმობდა, მოკვდები და თქვენი იქნებაო. ბოლო თვეებია, შვილი სერიოზულად გვყავს ავად, უჭაერობა სჭირს და ექიმმა გვიჩიო, ცოტა დიდი ბინა გინდათო. დედამთილი უარზე იყო, თავად ერთობათხიანში გადმოსულიყო და არც ჩვენ გვიშვებდა, სიმშვიდე მინდა, ხმაურს ვერ ავიტანო. ორი არჩევანი მქონდა, ან შვილის სიკვდილისთვის უნდა მეყურებინა, ან დედამთილი მომემორებინა. დიას, მე მოვკალი და მკვლელობის იარაღი, შიშველი ქალის ქანდაკება მტკვარში გადავაგდე“, – განაცხადა დაკავებულმა.

ქანდაკება მტკვრიდან მყვინთავებმა მაშინ ამოიღეს, როცა ხელისუფლების ცვლილება უკვე განხორციელებული იყო. ის იქვე დაშალეს და მისი ძირიდან, როგორც თვითმხილველები ამბობდნენ, ათზე მეტი, არცთუ მცირე ზომის ბრილიანტი გადმოვარდა. როგორც ჩანს, რძალმა ბრილიანტების შესახებ არაფერი იცოდა, ოქროს სამაჯურს კი ვერ შეელია და აპირებდა, ვითომ შემთხვევით, რომელიღაც ლომბარდში „აღმოეჩინა“ და ქმრისთვის ასე შეეტენა. რაც შეეხება ბრილიანტებს...

როგორც გვეუბნებიან, საქმიდან ჯერ რამდენიმე ქვა გაქრა, შემდეგ ეს ქვები ისევ გამოჩნდა, საბოლოო აქტში კი ჩაინერა, რომ ბრილიანტები ქანდაკებაში არ იყო და ეს გახლდათ ცირკონის თვლები, რომელსაც, პრაქტიკულად, არავითარი ღირებულება არ ჰქონდა. თუმცა, რეალურად, ცირკონის თვლებით ბრილიანტის ჩანაცვლებაზეც არავის უნვალია, უბრალოდ, ქალაღზე დაწერეს და საქმის მთავარი მტკიცებულება გააქრეს. რა ძნელი მისახვედრია, რომ აღნიშნული საქმის ყველა გამომძიებელი და ოპერმუშაკი საქმის დახურვის შემდეგ, უმუშევარი დარჩა, ისინი ხომ „კორუმპირებულები“ იყვნენ.

სწორედ ასე, არსაიდან, ქართული გვარის მქონე, მაგრამ ქართულის არმცოდნე პოლკოვნიკი გამოუშვეს 80-იანებში, საქართველოში, ერთ-ერთი დიდი ქალაქის სამძებროს უფროსად. მას საცხოვრებლად საკუთარი სახლიც გამოუყვეს და მისივე მოთხოვნით, სახლის გვერდით „რუსული აბანო“ მოაწყვეს, სადაც ყოველ შაბათს გრილდებოდა. სწორედ იმ აბანოს იატაკზე იპოვეს ტყვიით შუბლგახვრეტილი ერთ დღეს და რალა თქმა უნდა, საქმე განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანეს.

„რუსეთიდან ჩამოსული კაცის, თანაც პოლკოვნიკის მკვლელობა, საუკეთესო შემთხვევაში, ჩვენი მინისტრის მოხსნით დასრულდებოდა. ეს იმ შემთხვევაში, თუ საქმეს გავხსნიდით, თუ არადა, შესაძლებელი იყო, კომპარტიის პირველი მდივანიც კი მოეხსნათ. ამიტომ, მთელი მილიცია კი არა, ვისაც ფორმა ეცვა, ყველა ფეხზე დააყენეს და საქმის უმოკლეს დროში გამოძება მოითხოვეს. ყველაფერთან ერთად, რუსეთიდან დამატებითი ჯგუფი ჩამოვიდა, რომელიც კოორდინაციას უწევდა ჩვენს მუშაობას, ოფიციალურად არაფერში ერეოდა, მაგრამ მის გარეშე, არ გვექონდა უფლება, ერთი ადამიანი მაინც დაგვეკითხა და რაც მთავარია, დაკითხვა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ოქმი კი ქართულად დგებოდა, აქაოდა, ჩვენ არაფერში ვერევიო. ყველაფერთან ერთად, ეს ღირსების საქმეც იყო – როგორც უნდა დაგეტრიალებინა, ჩვენი კოლეგა, პოლკოვნიკი მოკლეს და დანაშაული აუცილებლად უნდა გავგვეხსნა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ტყვია, რომელიც გარდაცვლილის თავიდან ამოიღეს, კარტოთეკაში არ იძებნებოდა ანუ პოლკოვნიკი „სუფთა იარაღით“ მოკლეს. გაირკვა ისიც, რომ ადგილობრივებთან მას დაძაბულობა არ ჰქონდა. მეტიც, „კანონიერ ქურდებთან“ გადასარევი ურთიერთობა დაამყარა და პრინციპით, „არ შეგეხებოდა, არ დააშავოთ“, მშვიდად ცხოვრობდა. მას მეგობარი ქალიც კი რუსეთიდან ჰყავდა ჩამოყვანილი, რომელიც მკვლელობამდე სამი დღით ადრე, სამშობლოში რალაც საქმეებზე დაბრუნდა ანუ გარდაცვლილი შინ მარტო იმყოფებოდა. ის განსაკუთრებით მოადგილესთან, ადგილობრივ ქართველთან მეგობრობდა, თუმცა მოადგილემ საინტერესო ვერაფერი თქვა – არ მეგულება ადამიანი, რომელსაც საქართველოში მისი სიკვდილი აწყობდა ან რამეს მოუტანდაო. მართლაც, ოპერატიული ინფორმაციით, მოკლულს აქ მტრები არ ჰყავდა და ამიტომ, ძებნა რუსეთში დაიწყო, იქ, სადაც პოლკოვნიკი საქართველოში გადმოსვლამდე მუშაობდა.

„საინტერესო იქაც არაფერი იყო. უფრო ზუსტად, ერთი შეხედვით, არაფერი. ბოლო ხმაურიანი საქმე, მოსკოვის გარეუბანში აშენებულ პანსიონატს უკავშირდებოდა. ამბობდნენ, მშენებლობა უშუალოდ პოლკოვნიკის პატრონაჟით მიმდინარეობდა (სხვათა შორის, ეს პანსიონატი დღემდე არსებობს, რაც ძალიან უცნაურია), მშენებლობაზე დიდი ფულიც მოიჭრა და იქ მოხვედრა ყველასთვის პრესტიჟული იყო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

პანსიონატი მოხუცებისთვის აშენდა, ოღონდ უპატრონო მოხუცებისთვის კი არა, ჩინოვნიკთა მშობლებისთვის, რომლებიც სიბერის წლებს ბუნებაში, სუფთა ჰაერსა და საუკეთესო პერსონალის გარემოცვაში ატარებდნენ. პანსიონატის საკვებით მომარაგება მკაცრ კონტროლზე იყო აყვანილი და იქ არაერთი ჩინოვნიკის დედა თუ მამა ცხოვრობდა. მეტიც, მოხუცებს თავად სურდათ იქ მოხვედრა, რადგან ყველა აღიარებდა, რომ პირობები საბჭოთა კავშირისთვის არნახულად კარგი იყო. ბედის ირონიით, ჩინოვნიკების ოჯახის წევრებთან ერთად, პანსიონატში რამდენიმე „კანონიერი ქურდის“ მშობელიც ატარებდა უკანასკნელ წლებს. კრიმინალური ავტორიტეტები მშობლების სანახავად ხშირად დადიოდნენ და შავ ფულსაც ბლომად სწირავდნენ პანსიონატს, რათა მოხუცებს არსებულზე მეტი კომფორტი ჰქონოდათ. ყველა კმაყოფილი იყო, აბსოლუტურად ყველა, მაგრამ... ერთი თვის განმავლობაში, ოთხი მოხუცი გარდაიცვალა და ეს იმდენად მოულოდნელი და არაბუნებრივი გახლდათ, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამოძიებას საქართველოში მოკლული პოლკოვნიკი ხელმძღვანელობდა და საბოლოოდ, ვერაფერი დადგინდა – მოხუცები სიბერით გარდაიცვალნენ და ერთთვისანი ინტერვალი უბრალოდ დამთხვევა იყო. ასეთი დასკვნა გა-

ადრე ხშირად ხდებოდა, რუსეთის რომელიმე ქალაქიდან გამოუშვებდნენ ქართული გვარის მქონე პირს, რომელიც მოულოდნელად, საქართველოს ერთ-ერთ დიდ ქალაქში სოლიდურ თანამდებობას იკავებდა, ერთი-ორი წელი იმუშავებდა და შემდეგ ეს ადამიანი ისევ ქრებოდა, როგორც ჩნდებოდა. მაგალითისთვის, თვითმფრინავის ბიჭების საქმეც კმარა, როცა მოსკოვიდან სასწრაფო წესით გამოუშვეს პროკურორი ქართული გვარით, რომელმაც თანამდებობა დაიკავა, ამ კონკრეტულ საქმეზე იმუშავა, სასიკვდილო განაჩენი დააყენა და შემდეგ გაქრა.

თბილისში რუსი პოლკოვნიკი მოკლული იპოვეს



„კანონიერი ქურდის“ სკანდალური აღიარება

მოიტანა გამოძიებამ და მერე რა, რომ ძიების პროცესში, პათანატომმა, რომელმაც გვამები გაკვეთა, თავი მოიკლა. ახალმა ექსპერტმა გარდაცვლილების სისხლში საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა და საქმეც დაიხურა, თუმცა...

მომხდარის შემდეგ, პანსიონატიდან, ერთი-მეორის მიყოლებით დაიწყო მოხუცების გაყვანა და სხვა, ნაკლებად პრესტიჟულ პანსიონატებში გადაყვანა. განსაკუთრებით ჩინოვნიკები აქტიურობდნენ და მშობლები სასწრაფო წესით სხვაგან მიჰყავდათ. ცხადი გახდა, იქ რალაც ვერ იყო ისე, როგორც უნდა ყოფილიყო და ამას მონაშობდა ისიც, რომ პოლკოვნიკი, რომლის „კრიშა“ ადგილობრივი გენერალი იყო, რუსეთს გაარიდეს და საქართველოში გადმოიყვანეს.

„მართალია, რუსეთში ბევრი მეგობარი მყავდა, მაგრამ როგორც კი პოლკოვნიკზე ვინცბდი საუბარს, ყველა ჩუმდებოდა და მირჩევდა, არაფერი მექექა, რადგან საქმე იქაც კონტროლზე იყო და ყველაფერს სწორედ ის გენერალი კურირებდა. გენერალს კი ხელის ერთი მოსმით შეეძლო არა მარტო ჩემი მეგობრები მოეხსნა თანამდებობიდან, არამედ, დაეპატიმრებინა კიდეც. ამიტომ, შარში თავის გაყოფა არავის სურდა, რის გამოც კონტაქტი რუსეთში მცხოვრებ ქართველ „კანონიერ ქურდებთან“ დავამყარე. სწორედ მათგან შევიტყვეე ის, რომ პოლკოვნიკს მათი რუსი კოლეგა ემუქრებოდა, კაცი, რომლის დედაც სწორედ აღნიშნულ პანსიონატში იყო და გარდაცვლილი ოთხეულიდან ერთ-ერთი გახლდათ“, – ამბობს ბატონი თენგიზი.

გადამონშების შედეგად, ისიც გაირკვა, რომ „კანონიერი ქურდი“ საქართველოში იმყოფებოდა და ის პოლკოვნიკის მკვლელობამდე სამი დღით ადრე ჩამოვიდა. მისი მოძებნა პრობლემას არ წარმოადგენდა, თბილისში, ნაძალადევაში, „კოლეგის“ სახლში იპოვეს. სამართალდამცავების დანახვაზე წარბიც არ ატოკებია, მშვიდად გაჰყვა და როცა მისი თითების ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ არცთუ დიდი ხნის წინ იარაღიდან ისროლა, მთავარი ეჭვმიტანილიც გახდა.

„ქურდი, იარაღის გარეშე, წარმოგიდგენიათ? აქ ვიშოვე იარაღი, გავისროლე, არ მომეწონა და მტკვარში გადავაგდე. რა პრობლემაა? იარაღის გულისთვის თუ დამიჭერთ, არც მაგას ვინერვიულებ, სამ წელს როგორმე მოვიხდი, ციხე ჩემი სახლია“, – დაკთხვაზე კრიმინალური ავტორიტეტი აშკარად გამომწვევად იქცეოდა, მაგრამ როცა გარდაცვლილი დედა და პოლკოვნიკი უხსენეს, სახეზე სიბრაზე დაეცყო, თუმცა ნერვები მალევე მოთოკა და ისევ უდარდელი ღიმილი დასთამაშებდა.

ქართულმა მხარემ, გამოძიების წარმატებით დასრულებისთვის, კატეგორიულად მოითხოვა „კანონიერი ქურდის“ დედის გვამის ეგსგუმაცია, თუმცა უარი უთხრეს. გაირკვა, რომ უარის ინიციატორი, სწორედ ის გენერალი იყო. ამის მიუხედავად, ქართველი გამოძიებლები ჯიუტად ითხოვდნენ გვამის ეგსგუმაციას და ყველაფერი დაკავებულმა ქურდმაც გაიგო.

„დედაჩემს აღარ შეეხოთ, ისედაც ბევრი ჯიჯგენეს და სიკვდილის მერე, ლამის, ნაკუნებდა დაჭრეს. ერთადერთი წმინდა, რაც შემრჩა, დედა იყო და ისიც მომიკალით“, – ამოიხრიალა დაკავებულმა და გამოძიებულთან შეხვედრა მოითხოვა.

„მაგ ნაძირალას 20 ათასი მანეთი გადაეუხადე იმისთვის, რომ დედაჩემი პანსიონატში მიეღოთ. ჩემი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ყურადღებას ვერ ვაქცევდი, იქ კი მეფური პირობები იყო. დედის გარდა, არავინ დამრჩა და... როცა დაიღუპა, ეჭვი არ ამილია, ჩვეულებრივად დავმარხე, მაგრამ მერე ამბავი ატყდა, რალაც ისე არ არისო. გამოძიება რომ პოლკოვნიკს ჩააბარეს, მივხვდი, რალაცის ჩაფარცხვას აპირებდნენ, რადგან ის საკუთარ კანტორას არ გაიმეტებდა. ამას დამემატა პათანატომის სიკვდილი და მეორე პათანატომის „საუცხოო“ დასკვნა. მერე, როცა ეს საქართველოში გამოუშვეს, დავრწმუნდი, რომ რალაც ისე არ იყო. ამიტომ, ის მეორე პათანატომი მოვინახულე, პირში იარაღი ჩავუდე და ვუთხარი, თუ სიმართლეს არ მეტყოდა, უპრობლემოდ მოვკლავდი. სწორედ მან მითხრა, პანსიონატი აშენდა იმ ადგილზე, სადაც ადრე ქიმიურ ნარჩენებს მარხავდნენ. მოხუცებმა პატარა ბოსტანი მოაწყვეს, კიტრი და პომიდორი მოიყვანეს და სწორედ ამით მოინამლნენ. ნიადაგი ისეა დაბინძურებული, იქიდან აილო ნაყოფმა სანამლავიო. დედაჩემის ორგანიზმში ვერცხლისწყლის დიდი შემცველობა აღმოჩნდა ისევე, როგორც, სხვა დანარჩენ გვამებში. ეს პოლკოვნიკის განაჩენი იყო და განაჩენი სისრულეში მე მოვიყვანე, დედაჩემზე შური ვიძიე“, – განაცხადა დაკავებულმა.

საქმე გამოძიებული იყო, მაგრამ არ დახურულა. ის მოსკოვში წაიღეს და მოსკოვში წაიყვანეს „კანონიერი ქურდიც“, რომელიც მალევე, საკანში, საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა, თუმცა ექსპერტიზამ ბუნებრივი სიკვდილი ჩაწერა. პანსიონატმა ფუნქციონირება რამდენიმე წლით შეწყვიტა, შემდეგ კი კვლავ განახლდა. ამბობენ, ტერიტორიიდან მიწა გაიტანეს და ახალი მიწა შეიტანესო. დღეს ეს პანსიონატი ისევ ფუნქციონირებს და ისევ პრესტიჟულად ითვლება.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ალექსანდრე დარახველიძის ბრიფინგი



„პირველ რიგში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელით, მინდა, ღრმა მწუხარება გამოვთქვა 13 ოქტომბერს, ვაკის პარკში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის გამო და მივუსამძიმრო გარდაცვლილი მოზარდის ოჯახს, მეგობრებსა და ახლობლებს.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს, მოგანოდოთ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, ამ დროისთვის ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ.

შეტყობინების მიღებისთანავე, შემთხვევის ადგილზე მყისიერად გამოცხადდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა უფლებამოსილი დანაყოფის წარმომადგენლები და დაიწყო შესაბამისი მოქმედებები.

მომხდარ ფაქტზე დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიების მსვლელობისას დაზუსტდა კვალიფიკაცია და გამოძიება გრძელდება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, რაც გულისხმობს ელექტროობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას, რასაც მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამ დროისთვის, შემთხვევის ადგილზე მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო მოქმედებები და მუშაობენ, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტ-კრიმინალისტები.

ვაკე-საბურთალოს მთავარ სამმართველოში, საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, მიმდინარეობს სამუშაოების შემსრულებელი შპს „გრინ სერვის პლუსის“ დირექტორის, დამფუძნებლებისა და სხვა თანამშრომლების გამოკითხვები, ასევე, გამოიკითხებიან ის პირები, რომლებმაც ექსპერტიზა ჩაუტარეს დასრულებულ ობიექტს. საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, ამ დროისთვის, აქტიურად მიმდინარეობს და გაგრძელდება თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურების, მათ შორის, თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის თანამშრომლების გამოკითხვა. ასევე, გამოიკითხება დეტალურად შეისწავლის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების ამსახველ დოკუმენტაციას, საექსპერტო დასკვნებსა და მიღება-ჩაბარების აქტებს.

გარდა ამისა, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარ სამმართველოში მიმდინარეობს შემთხვევის დროს, ვაკის პარკის ტერიტორიაზე მყოფი არასრულწლოვნების, თბილისის 55-ე საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეების, პედაგოგების, სკოლის ადმინისტრაციისა და მანდატურის სამსახურის წარმომადგენლების გამოკითხვა.

სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდება ყველა საჭირო ექსპერტიზა, ასევე, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელით ვაცხადებთ, რომ შესაბამისი ექსპერტიზებისა და საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შემდეგ, დადგინდება ყველა ბრალეული პირის ვინაობა, რომლებიც კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან.

გამოძიების მსვლელობისას, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, საზოგადოებას პერიოდულად მივანვლით ინფორმაციას.

გორში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრი გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფრასტრუქტურული და სტრუქტურული ერთეულების გაძლიერების, ასევე, საპოლიციო სერვისებზე მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, შიდა ქართლის რეგიონში, ქალაქ გორში, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრი გაიხსნა.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, ვაჟა სირაძემ ცენტრი მოადგილეებთან ერთად გახსნა. ცენტრის გახსნას დაესწრნენ შიდა ქართლის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ შაყულაშვილი და გორის მერი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი.

დღეიდან, შიდა ქართლის მოსახლეობა 50-მდე საპოლიციო სერვისს, „ერთი სარკმლის“ პრინციპით, ერთ სივრცეში მიიღებს, მათ შორის, ავტომობილის მართვის უფლების შეჩერების შესახებ დადგენილების გაუქმებას ან ჯარიმით შეცვლას; ნაპოვნი სანომრე ნიშნის მიღებას; სპეციალურ სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალების გაყვანაზე თანხმობას და სხვა.

საპატრულო პოლიციის თანამედროვე საპოლიციო სერვის-ცენტრი აღჭურვილია ვიზიტორთა რიგის მართვის, ელექტრონული ხელმოწერისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემებით, ასევე, დანერგილია განაცხადების ელექტრონული ფორმით მიღების სისტემა, რაც გამორიცხავს განაცხადებისა და საჩივრების ხელით შევსების აქამდე დამკვიდრებულ პრაქტიკას. შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრი, ეტაპობრივად, სხვა ქალაქებშიც გაიხსნება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროს“ კავშირში მყოფი ოთხი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში, ოთხი პირი დააკავეს.

1983 წელს დაბადებული ნ.ჯ. (მეტსახელად, „ჯოჯიკა“), 1983 წელს დაბადებული გ.ა. (მეტსახელად, „მანუ“) და 1977 წელს დაბადებული ვ.დ., „ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისა და ჯგუფურად ჩადენილი ცემის ბრალდებით არიან დაკავებულნი, ხოლო 1997 წელს დაბადებული ა.ქ. – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვისთვის. დანაშაულები 3-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ „ქურდული სამყაროს“ წევრი ნ.ჯ. და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერი გ.ა., „კანონიერ ქურდ“ ოთარ კვარაცხელიას (მეტსახელად, „კიმო“) დავალებით, ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის თანამფლობელებს საკუთარი კრიმინალური გავლენის გამოყენებით მფარველობას დაჰპირდნენ, რის სანაცვლოდაც, მათგან გარკვეულ თანხას იღებდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ, ბიზნესმენებმა შეწყვიტეს კრიმინალური ავტორიტეტებისთვის თანხის გადახდა, რის გამოც, მათ შორის დავა წარმოიშვა.

ბრალდებულებმა, აღნიშნული დავის თავის სასარგებლოდ გადანყვევების მიზნით, თბილისში მოაწყვეს ე.წ. ქურდული გარჩევა, რომელსაც „კანონიერი ქურდის“ – ოთარ კვარაცხელიას ძმა, „ქურდული სამყაროს“ მხარდაჭერი ვ.დ.-ც ესწრებოდა.

„ქურდული გარჩევის“ დროს, ნ.ჯ.-მ და ვ.დ.-მ, დაშინებისა და ზემოქმედების მიზნით, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ერთ-ერთ მოდავე ბიზნესმენს.

ე.წ. ქურდული გარჩევის შედეგად მიღებული გადანყვევების საფუძველზე, ბრალდებულებმა სამშენებლო კომპანიის ერთ-ერთ თანამფლობელს მოსთხოვეს ამავე კომპანიაში არსებული საკუთარი წილის ნახევრის ნ.ჯ.-ის სახელზე გადაფორმება, ხოლო მეორე ბიზნესმენს დააკისრეს 54 000 აშშ დოლარის გადახდა, ასევე, მის საკუთრებაში არსებული ბინისა და კომერციული ფართის გადაცემა, რისთვისაც რამდენიმე დღე განუსაზღვრეს.

პოლიციამ, ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდს“ უკავშირდებოდნენ. გარდა ამისა, ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, 8 640 აშშ დოლარი, „ბე-ემ-ვე“ – ს მარკის ავტომანქანა და ნარკოტიკული საშუალება.

„ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის, ჯგუფურად ჩადენილ ცემისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, 223-ე მესამე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით, 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, გორში საზოგადოებრივი ღონისძიება გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, გორში, ქალაქის ცენტრში, შადრევნის სკვერში, შემეცნებითი და გასართობი აქტივობები გაიმართა.

დღის განმავლობაში, საზოგადოებრივ ღონისძიებას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელები, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ შაყულაშვილი, ასევე, ქალაქ გორის მერი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი.

ღონისძიებაზე მისული სტუმრები შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის საქმიანობას ეცნობოდნენ. ასევე, მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, ადგილზე დაეთვალთვალებინათ საპატრულო პოლიციის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის, მომსახურების სააგენტოს, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის, სასაზღვრო პოლიციის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, დაცვის პოლიციისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სპეცტექნიკა და აღჭურვილობა.

მოზარდებმა, სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, სხვადასხვა შემეცნებითი და გასართობი აქტივობაში მიიღეს მონაწილეობა.

კამპანიის ფარგლებში, გრძელდება შსს-ს დანაყოფების წარმომადგენლების ვიზიტები სკოლებში. საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრები იმართება მოსწავლეებთან, რომლის მიზანია, ბავშვებსა და მოზარდებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

რატომ წავიდა „დინამოდან“ და როგორ აღმოჩნდა აზერბაიჯანში – უცნობი ფაქტები ხვიჩა კვარაცხელიას მამაზე

ბათო ჯაფარიძე

აღარც კი გვახსოვს, ბოლოს საქართველოს სახელი ასე მძლავრად ევროპაში როდის დააქუხეს. სახალხო სპორტის, ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი ხვიჩა კვარაცხელია ყოველ კვირას ამტიცებს, რომ დიდი მომავალი აქვს და ამას არავინ მალავს. „ნაპოლის“ თამაშებს საქართველოში ყველა უყურებს, ხვიჩასაც ყველა გულშემატკივრობს და ნეაპოლური კლუბის ყოველი შეხვედრა, პრაქტიკულად, სახალხო ზეიმია. ბევრს გაუგია, რომ ხვიჩას მამა, ბადრი კვარაცხელია წარსულში ფეხბურთელი იყო, მაგრამ მისი რეალური ისტორია ცოტამ თუ იცის.

ბადრი კვარაცხელია 1965 წელს 15 თებერვალს, წალენჯიხაში დაიბადა. არადა, ხშირად გაიგონებთ, რომ ხვიჩას მამა აზერბაიჯანში დაიბადა და სწორედ ამიტომ თამაშობდა ამ ქვეყნის ნაკრებში, რაც ტყუილია.

სოფელ ნაკიფში დაბადებული ბიჭი ფეხბურთის სიყვარულით გამოირჩეოდა და მისი პირველი კლუბი, წალენჯიხის „სქური“ იყო, სადაც 75 შეხვედრა ჩაატარა და 47 გოლი გაიტანა.

ეს არ იყო ურიგო შედეგი და კვარაცხელია უფროსმა თბილისის „დინამოს“ ყურადღება მიიპყრო. ის „დინამოში“ 1992 წელს გადავიდა. ამ დროს, „დინამოს“ გარშემო საოცარი ამბები ხდებოდა. ოფიციალურად, კლუბი შსს-ს ეკუთვნოდა, არაოფიციალურად კი, მის გარშემო კრიმინალები ირეოდნენ, კლუბში მოხვედრასა და ძირითადი შემადგენლობის დაყენებას „კანონიერი ქურდების“ დონეზე წყვეტდნენ, სწორედ ასეთ დროს მოვიდა „დინამოში“ აშკარად კარგი ფორვარდი, გუნდში ერთი სეზონი გაატარა, 18 შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა და... სეზონის ბოლოს, კლუბიდან გაუშვეს.

გაუშვეს არა იმიტომ, რომ ცუდი ფეხბურთელი იყო, არამედ იმიტომ, რომ კრიმინალთა ინტერესები გადაიკვეთა და ერთმა კლანმა მეორეს აჯობა.

რეგიონიდან ჩამოსული ბიჭისთვის საქართველოს უმთავრეს კლუბში ადგილი არ მოიძებნა. თანაც, სწორედ იმ წელს, „დინამოში“ ახალი ეპოქა იწყებოდა – გუნდში აშკარად ნიჭიერი ბიჭები მოვიდნენ – არველაძეები, ყაველაშვილი... იწყებოდა ეპოქა, რომელსაც შემდეგ, დაკარგული ოქროს თაობა უწოდეს.

„დინამოდან“ გაშვებული კვარაცხელია თელავის „კახეთში“ გადავიდა, თუმცა მორალურად იმდენად მძიმე იყო ყველაფერი, რომ კახურ კლუბში მხოლოდ 12 შეხვედრა ჩაატარა და 4 გოლის გატანა მოახერხა.

„კახეთის“ შემდეგ, რუსთავის „მეტალურგში“ გატარებული ერთი სეზონი იყო, 15 მატჩი და ერთადერთი გოლი, რაც თავდამსხმელისთვის ძალიან ცუდი შედეგია.

რუსთავიდან შსს-ს აკადემიის კლუბში გადასულმა ბადრი კვარაცხელიამ, 10 შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა, თუმცა ძველი ფორმა დაიბრუნა და უკვე მომდევნო წელს, თბილისის „მერანში“ მძლავრად დაბრუნდა – 34 მატჩი და 12 გოლი ცოტა არ იყო.

1997 წელი დადგა, საქართველოს ეროვნული ნაკრები ძალას იკრებდა, მაგრამ ნაკრებში მოხვედრას მხოლოდ ნიჭი არ სჭირდებოდა – საჭირო იყო კავშირები საფეხბურთო მამებთან და კრიმინალურ



სამყაროსთან. კვარაცხელია უფროსს კი არც ერთი ჰქონდა და არც მეორე. ამიტომ, როცა მას კარიერის გაგრძელება აზერბაიჯანში შესთავაზეს, ბევრი არ უფიქრია და „კაპაზის“ ფორმა მოირგო.

პირველი სეზონი აზერბაიჯანში თავბრუდამხვევი გამოვიდა – 22 შეხვედრაში გატანილი 20 გოლით, კვარაცხელია ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად იქცა.

შედარებისთვის, მაშინ საქართველოს ჩემპიონატი აზერბაიჯანისას აშკარად სჯობდა (დღეს ასე აღარაა) და მიუხედავად ასეთი შედეგისა, კვარაცხელია საქართველოში კვლავ არავის დასჭირდა.

სამაგიეროდ, ის ამბიციურმა „შამქირმა“ შენიშნა და ფეხბურთელი გადაიბირა. „შამქირი“ იყო ბადრი კვარაცხელიას კარიერის საუკეთესო კლუბი და წლები. მან გუნდის მაისურით 296 შეხვედრა ჩაატარა, 145 გოლი გაიტანა და დღემდე, კლუბის ისტორიაში, საუკეთესო მეგოლედ ითვლება. ასეთი შედეგის მიუხედავად, კვარაცხელია უფროსი, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ერთხელაც არ მიიწვიეს. არადა, ის გამოძახებას ელოდა... მუდმივად ელოდა. ნათქვამიც აქვს, ყველაზე დიდი პატივი, სწორედ საქართველოს ნაკრებში თამაში იქნებოდაო, თუმცა მას ეს პატივი არ დასდეს.

2000 წელს, 35 წლის კვარაცხელიას აზერბაიჯანული პასპორტი მისცეს და ეროვნულ გუნდშიც დაუძახეს. რაღა თქმა უნდა, 35 წლის ასაკში, უმაღლეს დონეზე თამაში ძნელია და სწორედ ამიტომ, მან აზერბაიჯანის ნაკრებში მხოლოდ 3 შეხვედრა გამართა, თუმცა საკლუბო დონეზე თამაში 40 წლამდე მოახერხა და 2005 წელს, ბუცები ლურსმანზე ოფიციალურად ჩამოჰკიდა.

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, კვარაცხელიამ მწვრთნელობას მიჰყო ხელი და 2008-2009 წლებში, აზერბაიჯანული „სუმგაითის“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწე გახლდათ, შემდეგ ამავე კლუბში, ერთი სეზონი მთავარ მწვრთნელად

იმუშავა, 2011-2012 წლებში, ცხინვალის „სპარტაკში“ გადავიდა და იქაც მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ, ერთი წლის შემდეგ, კვლავ აზერბაიჯანში დაბრუნდა და „გაბალაში“ იყო მეორე მწვრთნელი, შემდეგ ისევ აზერბაიჯანული „თურანის“ თავკაცი, 2015 წელს, ლანჩხუთის „გურია“ ჩაიბარა, ერთი წლის შემდეგ – მარტვილის „მერანი“, 2018-ში – „სამტრედია“, 2019-ში – „რუსთავი“ და...

სწორედ 2019 წლის შემდეგ გადაერთო ცხოვრების მთავარ საქმეზე და შვილის, ხვიჩა კვარაცხელიას პირადი მწვრთნელი გახდა. უდიდესი გამოცდილება, რომელიც მას ჰქონდა, ხვიჩამდე წვეთ-წვეთად, მტკიცედ მიჰქონდა, ასწავლიდა სიძნელეებთან გამკლავებას და სავარაუდოდ, საკუთარი თავი ახსენდებოდა, როცა 2018 წელს, თბილისის „დინამოდან“ გაშვებული შვილი „რუსთავში“ მიიყვანა, გუნდში, სადაც მწვრთნელი თავად იყო, თუმცა ერთი წლის შემდეგ, მამა-შვილი რუსთავიდანაც წავიდნენ. მეგობრების დახმარებით, კვარაცხელია უფროსმა, ხვიჩა მოსკოვში ჩაიყვანა და „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობას აჩვენა. აქ დაიწყო ყველაზე საინტერესო – მოსკოველებს ფეხბურთელი მოეწონათ, მაგრამ განაცხადეს, რომ მას მხოლოდ 6 თვით დაიტოვებდნენ და ამ 6 თვის განმავლობაში, მას ხელფასს ვერ გადაუხდიდნენ. ბავშვისთვის ხელფასის გადახდა მისმა მენეჯერმა, მამუკა ჯუღელმა ითავა. 6 თვეში, კვარაცხელია ყაზანის „რუბინმა“ წაიყვანა და დიდი კარიერის პირველი ნაბიჯებიც, სწორედ თათრულ კლუბში გადაიდგა. ეჭვი გვაქვს, ბატონ ბადრის ამ შემთხვევაშიც საკუთარი კარიერა ახსენდებოდა, მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ შვილი მამას აშკარად სჯობდა და აღარც ის დრო იყო, როცა კარიერის გაგრძელებას კრიმინალები წყვეტდნენ. მერე იყო ომი, რუსეთიდან ბათუმის „დინამოში“ წამოსული ხვიჩა და „ნაპოლი“, კლუბი, რომელსაც საქართველოში ახლა იმაზე მეტი გულშემატკივარი ჰყავს, ვიდრე დიეგო მარადონას დროს ჰყავდა.

სალუქვაძე მეათე ოლიმპიადას უტევს

ლეგენდარული ქართველი სპორტსმენი, ტყვიის სროლაში ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი, ნინო სალუქვაძე ეგვიპტის დედაქალაქში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრა. პროგრამა მინიმუმი, პლეი-ოფში გასვლა იყო, რადგან ასეთ შემთხვევაში, მედლების მოპოვების შესაძლებლობასთან ერთად, ჩვენი სპორტსმენები გარანტირებულად იღებდნენ პარიზის 2024 წლის ოლიმპიადის ლიცენზიასაც.

სამწუხაროდ, პლეი-ოფში გასვლა ნაკრების ვერცერთმა წევრმა ვერ მოახერხა, მაგრამ მათ იმდენად ცოტა დააკლდათ მიზნამდე, რომ თამამად შეიძლება თქმა, მომდევნო შეჯიბრზე ლიცენზიას აუცილებლად მოიპოვებენ. ჰოდა, ასეთ შემთხვევაში, სალუქვაძესთვის პარიზი მეათე ოლიმპიური თამაშები იქნება, რაც საქართველოში აბსოლუტური რეკორდი, მსოფლიოში კი მოქმედი რეკორდის განმეორებაა.



ახალი კონტრაქტი კვარაცხელიას – 3 მილიონი წლიურად და პლუს ბონუსები



ქართული ფეხბურთის მთავარი მოვლენა ხვიჩა კვარაცხელიაა. 21 წლის ბიჭმა, ფეხბურთის ყურება საქართველოში მათაც დაანებინა, ვინც არ უყურებდა და ყველა ამყოფს იმით, რასაც ჩვენი ბიჭი ევროპის სტადიონებზე სჩადის. არ აქვს მნიშვნელობა, ჩემპიონთა ლიგა იქნება თუ იტალიის ჩემპიონატი, კვარაცხელია ყველგან გამოჩნდება. აგერ, გასული კვირის შუაწელს, „აიაქსთან“ შეხვედრაში, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად, სწორედ ხვიჩა დაასახელეს (პირველად მოხდა, რომ ჩემპიონთა ლიგაზე შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე ქართველი გახდა), იმავე გასული კვირის უქმეებზე კი, სერია A-ში, კვარაცხელიამ „ბოლონიას“ წინააღმდეგ ითამაშა ძალიან კარგად და შეხვედრის საუკეთესოდაც დამსახურებულად აღიარეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ბიჭი გრანდების ყურადღების ცენტრში მოექცა და შორს არ არის ის დრო, როცა კვარაცხელიას თაობაზე, „ნაპოლის“ წინადადებას ისეთი კლუბი გაუკეთებს, უარის თქმა რომ არ გამოვა. საუბარი „რეალზე“, „ლივერპულზე“, „ბარსელონასა“ და „მანჩესტერ სიტისზე“. ჰოდა...

„ყველაზე კარგად, სწორედ ნეაპოლში ესმით. იციან, რომ კვარაცხელიას შენარჩუნება გაჭირდება, ამიტომ მას ახალ, გაუმჯობესებულ კონტრაქტს უკვე უმზადებენ და წლის ბოლომდე შესთავაზებენ კიდევ. საუბარია ხელშეკრულების 2 წლით გახანგრძლივებაზე (ანუ 2027 წლამდე გაფორმებაზე) და ხელფასის გაორმაგებაზე, ანუ წლიურად 3 მილიონ ევროზე. ამასთან ერთად, კონტრაქტში ბონუსების სისტემაც იქნება გათვალისწინებული და კვარაცხელია გოლებსა და საგოლე გადაცემებზე ცალკე თანხას მიიღებს“, – ამას იტალიელი ჟურნალისტები ამტკიცებენ და ვნახოთ.

ბორ მინასიანი ტალახაძეს კონტინენტის ბაეჩსა

სოციალურ ქსელში ხშირად ხუმრობდნენ, იუდას არ აუღია იმდენი ვერცხლი, რამდენიც გორ მინასიანს ლაშა ტალახაძემ ააღებინაო. მართლაც, რომ არა ქართველი ძალოსანი, მსოფლიო ლეგენდა, სწორედ სომეხი ფალავანი იქნებოდა. პრაქტიკულად, ყველა შეჯიბრზე, მინასიანი მეორე ადგილზე გადიოდა და ოქროს მედალს ლაშას უთმობდა. მოთმინების ფიალაში ბოლო წვეთი ტოკიოს ოლიმპიადა იყო – სომხების დელეგაციას ორი ლიცენზია ჰქონდა მოპოვებული და მინასიანი შინ დატოვეს, რადგან ზუსტად იცოდნენ, ოქროსთვის ვერ იბრძოლებდა და მის ნაცვლად, სხვა წონაში წაიყვანეს ძალოსანი, იქ, სადაც ტალახაძე არ იყო.

ჰოდა, მიხვდა მინასიანი, თავს თუ არ უშველიდა, ლაშა არ გაახარებდა და მოქალაქეობა შეიცვალა. ახლა ის ბაჰრეინის სახელით გამოდის და აგერ, პირველი ტიტულიც მოიგო და კვარაცხელიას უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ეს აზიის კონტინენტის პირველობაზე მოხდა, სადაც ტალახაძე მონაწილეობას იმ მარტივი მიზეზით არ იღებს, რომ საქართველო ევროპაა. მინასიანმა ყველა მეტოქე ადვილად დაჩაგრა და კარიერაში პირველად, საერთაშორისო ასპარეზზე ოქროს მედალი მოიპოვა. ერთი ეგაა, მინასიანი მსოფლიოს ჩემპიონატსა და ოლიმპიადაზე ტალახაძეს მაინც ვერ ასცდება და საინტერესოა, ამ ფორუმებზე რის იმედად გამოვა.



„გვინდა, ყოველ შაბათ-კვირას, სკვერებში პატარა-პატარა კონცერტები გავმართოთ“

თათია გორაძე
598-43-50-34

ცნობილი ადვოკატმა და ოთარ რამიშვილის შვილმა, მიხეილ რამიშვილმა რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში განცხადება გამოაქვეყნა:

„ოცდაოთხი ოქტომბერი, ეს ბრწყინვალე თარიღი, დავიბადე გულკეთილი, ალალი და ღარიბი... თბილისის საპატიო მოქალაქის, ოთარ რამიშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით, საბურთალოზე, „კვაჭიჭოს“ სახელობის ქუჩაზე და პატარა სკვერში, გვინდა უანგაროდ, პატარა კონცერტის ჩატარება. მივმართეთ თბილისის მერიას და მხოლოდ სცენა და ძალიან უმნიშვნელო ვთხოვეთ მსმენელისთვის, პასუხი იყო ვებერთელა არააააა!!!! ბიუჯეტი არ გვაქვსო. ვიცი, რომ თქვენთვის ვარ „პერსონა ნონ გრატა“ (personae non gratae) და თქვენს გარეშე ვეცდები გავაკეთოთ კონცერტი, სადაც მოვლენ ადამიანები, რომლებმაც იციან დედაქალაქის სიყვარული და ერთმანეთის პატივისცემა და არა „ჟოპალები“. თქვენ კი ჩინოვნიკებო, „სამი დალიეთ შეგერგებათ, არ დაითვრებით“. დოქსოფულობო, მამები გყავთ??? თუმცა, „დათესე თხილი, ამოვა თხილი, რაც მამა არის, ისაა შვილი“... „ვერსია“ მიხმობს რამიშვილს დაუკავშირდა და აღნიშნულის შესახებ ესაუბრა:

„საუბარს სამძიმრით დავინყებ. ძალიან ვწუხვარ 13 ოქტომბერს, თბილისში მომხდარი ტრაგედიის გამო და ვუსამძიმრებ ოჯახს. უდიდესი ტრაგედიაა და უპასუხისმგებლობაა ბევრი ადამიანის, რომელთაც სამართლის წინაშე პასუხი უნდა აგონ.

რაც შეეხება ჩემს სოციალურ ქსელში დანერგულ განცხადებას, საკრებულოს გადაწყვეტილებით, საბურთალოზე, მიცკევიჩის ქუჩიდან საირმეზე ასასვლელი ქუჩა და იქვე, სკვერი – ოთარ რამიშვილის სახელობის გახდა. იყო შეთავაზებები, რომ ეს ქუჩა გალამაზებულიყო, მაგრამ როგორც ყოველთვის, ლოდინის რეჟიმში აღმოვჩნდი...

დაახლოებით, ერთი თვის წინ დამიკავშირდა ჩემი ახლობელი და მითხრა, რომ ლევან მშვილდაძეს, რომელიც მამაჩემის ნამონაფარი იყო და რომელმაც ზაქარიაძის ქუჩა გაამწვანა და გაალამაზა, სურდა, 24 ოქტომბერს, მამაჩემის დაბადების დღესთან დაკავშირებით, გაემართა კონცერტი.



როდის და სად აღინიშნება ოთარ რამიშვილის 88 წლის იუბილე – ინტერვიუ მიხეილ რამიშვილთან



ამ ადამიანმა თავის ხელით, მეგობრებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, ოთარის სახელობის ქუჩაზე სკამები გააკეთა, სადაც სკამების საზურგეებზე მამაჩემის ციტატები წერია. ლევანმა შეძლებისდაგვარად გაამწვანა ეს ქუჩა და გეგმავს, რომ ციტატების გარდა, ოთარის ლექსებიდან ამონარიდებიც დანეროს, რადგან ახალგაზრდები რომ მივლენ, ლექსებს წაიკითხავენ და შარმი და სიმშვიდე იგრძნობოდეს მამაჩემის სახელობის ქუჩასა და სკვერში.

მოკლედ, ღია ცის ქვეშ, ოთარ რამიშვილის სახელობის პატარა მუზეუმის გაკეთება გვინდა. იდეის მიხედვით, 24 ოქტომბერს, კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ყველა, ვინც იცნობს ოთარ რამიშვილის შემოქმედებას და წარმატებით ასრულებს მამაჩემის სიმღერებს. ამისთვის საჭირო გახდა სცენა და იმ მინიმალური პირობების შექმნა, რაც პატარა კონცერტისთვისაა აუცილებელი. ეს არ იქნება ფასიანი კონცერტი, დასწრება იქნება თავისუფალი, რაც მცირე ბიუჯეტს ითვალისწინებს, თუმცა განცხადება რომ დავწერეთ, მუნიციპალიტეტისგან მივიღეთ უარი. აგვისხნეს, რომ თბილისობის გამო, ბიუჯეტში საკმარისი თანხა აღარ იყო.

ამის შემდეგ დავწერე კრიტიკული პოსტი, რადგან გამიკვირდა, როგორ არ მოიძებნებოდა მინიმალური თანხა ამ იდეისთვის. ეტყობა, შემდეგ მაინც გამოიძებნა ეს თანხა, დაუკავშირდნენ ლევანს და შეპირდნენ აბსოლუტურად ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რაც ამ კონცერტის გამართვას სჭირდება ანუ ქალაქის მერიამ თანხმობა განაცხადა ამ კონცერტის დაფინანსებაზე.


კონცერტის გამართვას 24 ოქტომბერს ვაპირებთ. მამა 88 წლის გახდებოდა...

ზოგადად, იდეა გვაქვს, რომ ყოველ შაბათ-კვირას, ასეთ სკვერებში პატარა-პატარა კონცერტები გავმართოთ ჩვენივე ძალით, რათა ადამიანებს კომუნიკაცია ჰქონდეთ ერთმანეთთან და ურთიერთობები გაჯანსაღდეს, რაც ყოველთვის იყო დედაქალაქში.

მახსოვს, ქუჩაში სიმღერ-სიმღერით რომ მივდიოდით, ფანჯრები იღებოდა და სახლებში გვპატიჟებდნენ. მინდა, ასეთი შარმი დაუბრუნდეს თბილისს და ამისთვის მხარდაჭერაა საჭირო, რადგან მართლა გვინდა, რომ სიცოცხლით სავსე ქალაქში ვცხოვრობდეთ. იმედი მაქვს, ამ ინიციატივაზეც დაგვიჭერენ მხარს“.



ფილმს ღია კოსმოსში გადაიღებენ



პოპულარული ჰოლივუდელი მსახიობი ტომ კრუზი შეასრულებს მთავარ როლს რეჟისორ დუგ ლიმანის ფილმში, რომლის გადაღებებიც ღია კოსმოსში შედგება. საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე, მსახიობი რაკეტის მეშვეობით მოხვდება. ფილმის ძირითად ნაწილს დედამიწაზე გადაიღებენ, კრუზის გმირი კი კოსმოსში „ვითარების გადასარჩენად“ გაემგზავრება. ასე რომ, ამერიკელი მსახიობი პირველი სამოქალაქო პირი იქნება, რომელიც საერთაშორისო სადგურის გარეთ, ღია კოსმოსში გავა.

„საზიზღარი სურვილების“ სუნამო მასკისგან



მსოფლიოში ყველაზე მდიდარმა ბიზნესმენმა ილონ მასკმა სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე დაწერა, რომ გაყიდვაში ჩაუშვა პარფიუმი, სახელწოდებით, Burnt Hair („დამწვარი თმა“). ეს „არომატი“, რომელსაც თავად მილიარდერმა უწოდა „საზიზღარი სურვილების“ ესენცია, ჯერ კიდევ გასულ თვეს წარადგინა. როგორც სახელიდან ჩანს, პარფიუმი დამწვარი თმის სურნელს აფრქვევს. სუნამოს გაყიდვები სულ ახლახანს დაიწყო, თუმცა სულ მცირე, 10 ათას ფლაკონზე შეკვეთა მწარმოებელს უკვე მიღებული აქვს. მყიდველები მას მომავალი წლის პირველ კვარტალში მიიღებენ. უჩვეულო სურნელის მქონე ეს სუნამო 100 დოლარი ღირს. მასკი გვარწმუნებს, რომ ამ არომატის მფლობელი შეძლებს, „ნაცრისფერ მასას“ გამოეყოს და ყველასგან „შესამჩნევი“ გახდეს.

რობოტი-ანდროიდი მუზეუმის თანამშრომელია



დუბაიში მდებარე მომავლის მუზეუმმა ახალი „თანამშრომელი“ აიყვანა. დაწესებულების შესასვლელთან, მნახველებს რობოტი-ანდროიდი ეგებება. „ჭკვიანი მანქანა“, სახელად ამეკა, მსოფლიოში ყველაზე მეტად ადამიანისმაგვარ რობოტად ითვლება. მისი მთავარი ფუნქცია ადამიანებთან ურთიერთობაა. ამეკას იმდენად ანიმირებული სახე აქვს, რომ მას შეუძლია გამოხატოს გაცხება, სიხარული, წყენა და გაბრაზება. ანდროიდი შესანიშნავად შეესტიკულირებს ხელებით და ამოიცნობს ობიექტებს მის გარშემო. მომავალში მუზეუმი აპირებს, ბრიტანელი მწარმოებლებისგან ასეთი რობოტების მთელი გუნდი შეიძინოს.

ახალი ამბების ცქერა საზიანოა



ამერიკელმა სწავლულებმა ტეხასის უნივერსიტეტიდან, დაადგინეს, რომ ახალ ამბებზე დამოკიდებულება ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემებს იწვევს. ადამიანებს, რომლებიც ახალ ამბებს ხშირად უყურებენ, დიდი ალბათობით, აღენიშნებათ სტრესი, შფოთვა და ფიზიკური დაავადებები. მკვლევარებმა 1100 ზრდასრული ამერიკელი გამოკითხეს და მიღებული შედეგები გააანალიზეს. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა 16.5%-ს ახალ ამბებზე ძლიერი დამოკიდებულების ნიშნები ჰქონდა – ისინი იმდენად იყვნენ ამ ამბავში ჩართულნი, რომ აღარ შეეძლოთ, ამ თემაზე არ ეფიქრათ. ეს კი იწვევდა ძილის დარღვევას, ოჯახში ურთიერთობების გაუარესებას, ხელს უშლიდათ სწავლასა და მუშაობაში და იწვევდა შფოთვას. გამოკითხულთა უმრავლესობას (73%) ფსიქიკის მოშლილობა ჰქონდა, 61%-ს – ფიზიკური დაავადებები. მკვლევარების განცხადებით, საჭიროა საზოგადოებაში ახალ ამბებზე დამოკიდებულების საწინააღმდეგო პროპაგანდა დაიწყო. სწავლულებს მიაჩნიათ, რომ სიტუაციას აღრმავებს მასობრივი ინფორმაციის ის საშუალებები, რომლებიც უპირატესობას ნეგატიურ ახალ ამბებს ანიჭებენ.

ცოლიან მამაკაცს თოჯინა შეუყვარდა



იაპონიაში, ქალაქ ნაგანოს მცხოვრებმა მამაკაცმა გადაწყვიტა, რომ სექს-სათამაშოსთან ერთად იცხოვროს, მიუხედავად იმისა, რომ მას ცოლი და ორი შვილი ჰყავს. 61 წლის სენძი ნაკაძიმამ თოჯინას საორი დაარქვა და მასთან ერთად, ტოკიოში დასახლდა. მამაკაცმა, რომელმაც მშობლიური ქალაქი ექვსი წლის წინ დატოვა და საკუთარი ბიზნესი ააწყო, მარტოობაში სექს-სათამაშოს გამოყენება დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ კი თოჯინას ისე მიეჯაჭვა, როგორც ცოცხალ ადამიანს. ახლა ის ყველგან მასთან ერთად დადის – ქუჩაში, მაღაზიებში, პარკებში ეტლით დაატარებს და პაემანზეც კი ეპატიჟება ხოლმე. იაპონელი ამტკიცებს, რომ მას აღარ სურს, გვერდით ნამდვილი ქალი ჰყავდეს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი პლასტმასის თოჯინები, დაახლოებით, 5 ათასი დოლარი ღირს.

ელექტრომონყობილობების ჭამას მიეჩვია



დიდ ბრიტანეთში, ქალაქ პრესტონში მცხოვრებ ხუთი წლის ბიჭუნას იშვიათი დაავადება აღმოაჩნდა, რის გამოც პატარას უცნაური, გადაულახავი ლტოლვა გაუჩნდა არაორგანული საგნების მიმართ. კერძოდ, ბავშვს ყველაზე მეტად ელექტროსადენები, მიკროსქემები და ელექტრომონყობილობების სხვა ნაწილები იზიდავს. იზიდავს არა გასართობად, არამედ, საჭმელად. ეს ფაქტი ბიჭის მშობლებმა სამი წლის წინ აღმოაჩინეს, როცა მათი პატარა მობილური ტელეფონის დამტენის ჭამისას „გამოიჭირეს“. ექიმებმა მას Pica-ს სინდრომის მძიმე ფორმა დაუდგინეს. ამ იშვიათი დაავადების დროს, ადამიანს სხვდასხვა არაორგანული წარმოშობის საგნების მოხმარების სურვილი უჩნდება. აღსანიშნავია, რომ ეს დაავადება იკურნება აბების დახმარებით, თუმცა მისი მიღება მოზრდილი ასაკიდან არის შესაძლებელი. ასე რომ, ბავშვის მშობლებს მიუწევთ, კიდევ რამდენიმე წელი მკაცრ კონტროლზე ჰყავდეთ საკუთარი პირმშო.

ყურსასმენები მზის ენერჯიაზე მუშაობს



ცნობილმა გერმანულმა ბრენდმა adidas-მა, უკაბელო ყურსასმენები – RPT-02 Sol წარადგინა. ახალი მოდელის მთავარი მახასიათებელი მზის პანელია, რომელიც მონყობილობის ელემენტის ხანგრძლივობას ზრდის. თავად მზის ბატარეა ყურსასმენებისთვის შევდურმა კომპანია Exeger-მა დაამზადა. მას ენერჯის შევსება არა მხოლოდ კაშკაშა მზისგან, არამედ, ხელოვნური განათებითაც შეუძლია. თუმცა გაჯეტს, ჩვეულებრივ, ელექტროქსელის საშუალებით დასამუხტი სტანდარტული კაბელიც აქვს. როგორც მწარმოებელი აცხადებს, ყურსასმენების ელემენტების ხანგრძლივობა, მუსიკის მოსმენის დროს, 80 საათია. ახალი პროდუქტი გაყიდვაში მალე ჩაეშვება და მისი ფასი 229 დოლარი იქნება. აღსანიშნავია, რომ აქამდე მზისპანელის მქონე უკაბელო ყურსასმენი შევდურმა კომპანიამ – Urbanista წარადგინა.

ყურძენი სიცოცხლეს ახანგრძლივებს



სწავლულებმა ნისლიანი ალბიონიდან შეისწავლეს, როგორც მოქმედებს ყურძენი ადამიანის ჯანმრთელობასა და მისი სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. მკვლევარების თქმით, დღეში ორი მტევანი ყურძნის დაგემოვნება დაბალციხიმიან დიეტასთან ერთად, ხელს უწყობს ღვიძლის ცხიმოვანი დისტროფიის შემცირებას და სიცოცხლის გახანგრძლივებას. გარდა ამისა, გამოვლინდა, რომ ეს გემრიელი ხილი მნიშვნელოვნად მოქმედებს გენეტიკურ ექსპრესიაზე. ყურძენში არსებული ნივთიერებები ამაღლებს ანტი-ოქსიდანტების დონეს, რაც ორგანიზმის ბიოლოგიურ ასაკს, დაახლოებით, 4-5 წლით ზრდის. ყურძნის მოხმარება დადებითად მოქმედებს კოგნიტურ უნარებზე.

„შპარგალკა“ კალმებზე ამოკაწრა



მალაგას უნივერსიტეტის პედაგოგმა, იოლანდა დე ლუკიმ სოციალურ ქსელში უჩვეულო „შპარგალკების“ ფოტო გამოაქვეყნა, რომელიც მან გამოცდაზე სტუდენტს ჩამოართვა. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდამ ფოლადის ნემსით პასტებზე ამოკანრა ამონარიდები ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსიდან. „შპარგალკები“ ისეთი აღარაა, როგორც ადრე, – დანერა პედაგოგმა. მისი თქმით, დღევანდელი სტუდენტები არ დათანხმდებიან ასეთ ტიტანურ შრომაზე, რადგან ახლა ყველაფერი „ლილაკზე ერთი ხელის დაჭერითაა“ შესაძლებელი. პროფესორის პოსტს ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ათობით ათასი გადაზიარებაც ჰქონდა. მასწავლებელმა კი მანაც არ გაამხილა, შეძლო თუ არა ამხელა „ნაშრომის“ ავტორმა ესპანურ სამართალში გამოცდის ჩაბარება.



ნუ გაცვლით თირკმელს „აიფონში“




ასეთ მოწოდებას ტაილანდის „ნითელი ჯვარი“ ავრცელებს. ორგანიზაციის წარმომადგენლები ადგილობრივებს სთხოვენ, ნუ გაცვლიან საკუთარ ჯანმრთელობას ახალ iPhone-14-ში. უწყება ტაილანდელებს ახსენებს, რომ ასეთი ქცევა, პირველ რიგში, არალეგალურია, გარდა ამისა, მორალურადაც არასწორი და არაეთიკურია. ასეთი მოწოდებების მიზეზი ქსელში ვირუსულად გავრცელებული ფოტოა, რომელზეც სამი ადამიანია აღბეჭდილი, მათ სხეულზე ჭრილობები აქვთ, ხელში კი ახალი ტელეფონები უჭირავთ. სავარაუდოდ, თითოეულმა მათგანმა საკუთარი თირკმელი გაყიდა, Apple-ის უახლესი სმარტფონის შესაძენად. აღსანიშნავია, რომ გასულ კვირას, ამ აზიურ ქვეყანაში, ბრენდმა შეკვეთების მიღება დაიწყო iPhone-14-ზე. მისი ფასი იქ 33-დან 67 ათას ბატამდეა (დაახლოებით, 870-დან 1770 დოლარამდე).

მონევა დნმ-ს ცვლის



ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მკვლევარებმა გაარკვეეს, რომ მონევა ადამიანის დნმ-ის სტრუქტურას ცვლის და დარღვევების ნაწილი მას შემდეგაც არ აღდგება, როდესაც ნიკოტინზე უარს ამბობს. სწავლულებმა დაადგინეს, რომ მონევა გავლენას ახდენს მეთილირების – დნმ-ის მოლეკულის ცვლილების პროცესზე, რასაც შეუძლია ჩაახშოს გენების აქტიურობა ან გავლენა მოახდინოს მათ ფუნქციაზე. ასეთი შეფერხება ხშირად იწვევს კიბოს, გულის დაავადებებს და ჯანმრთელობის სხვა, სერიოზულ პრობლემებს. მონევის შედეგები შესაძლოა აისახოს მოლეკულურ მექანიზმებზე 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. მკვლევარებმა 16 ათასი ადამიანის სისხლის ნიმუშები შეისწავლეს, რომლებიც ადრე მონანილეობდნენ სხვადასხვა კვლევებში. აღმოჩნდა, რომ მწვევლებში შეიცვალა მეთილირების პროცესი და ამან გავლენა მოახდინა 7 ათას გენზე ანუ მეცნიერებისთვის ცნობილი ადამიანის გენების მესამედზე. თუ ადამიანი ნიკოტინს თავს ანებებდა, გენების უმრავლესობა ნორმაში მოდიოდა, დაახლოებით, ხუთი წლის შემდეგ, მაგრამ 19 გენში მომხდარი ცვლილება, მათ შორის, ლიმფომას წარმოქმნასთან დაკავშირებულია, არ შეიცვალა 30 წლის შემდეგაც კი. სტატისტიკური მონაცემებით, ყოველწლიურად, მონევით პროვოცირებული დაავადებებით, მსოფლიოში 6 მილიონზე მეტი ადამიანი იღუპება.

მასაჟისტებს კაბებზე ბოქლომი დაადეს



კუნძულ იავაზე მდებარე ერთ-ერთი მასაჟის ცენტრის თანამშრომლები იძულებულნი არიან, კორექტივა შეიტანონ ყოველდღიურ სამუშაო ფორმაში. მასაჟისტები რომ სექსუალური მოძალადეებისგან დაიცვან და თან დანესებულების იმიჯიც აამაღლონ, სალონის მფლობელებმა თანამშრომლებს მოსთხოვეს, კაბებსა და შარვლებზე ბოქლომები დაიმარჯონ. ეს „ერთგულების კლიტე“ ქალაქ ბატუმი მდებარე კოსმეტიკური ცენტრის მასაჟისტებს „ამშვენებთ“. ინდონეზიის ქალაქებში პროსტიტუცია საკმაოდ გავრცელებულია. მსგავსი სალონების სახელით, იქ უამრავი ბორდელი მუშაობს. „ერთგულების ბოქლომების“ იდეა ადგილობრივმა ხელისუფლებამაც მოიწონა და გადაწყვიტა, ახალი წესები ქალაქის სხვა მასაჟის სალონებშიც შემოიღოს.

მწვანე ჩაი პროსტატის სიმსივნის წინააღმდეგ



მწვანე ჩაის ხუთი ან მეტი ჭიქის ყოველდღიური მიღება პროსტატის კიბოსგან დაგიცავთ, – მასშტაბური კვლევის შედეგად, ასეთ დასკვნამდე იაპონელი მეცნიერები მივიდნენ. მათ დაადგინეს, რომ ისინი, რომლებიც დღეში ხუთ ან მეტ ფინჯან მწვანე ჩაის მიირთმევენ, ორჯერ უფრო იშვიათად ავადდებოდნენ პროსტატის კიბოთი მათთან შედარებით, რომლებიც დღეში მხოლოდ ერთ ფინჯან ამ არომატულ სასმელს სვამდნენ. ამასთან, ჩაის გამოყენება არანაირ გავლენას არ ახდენდა კიბოს ლოკალური ფორმების განვითარების სიხშირეზე. მკვლევართა აზრით, მწვანე ჩაის კიბოს საწინააღმდეგო ეფექტი, შესაძლოა, მასში კატექინების შემცველობას უკავშირდებოდეს. ეს ნივთიერება აქვეითებს ტესტოსტერონის დონეს, რომელსაც დიდი წვლილი აქვს პროსტატის კიბოს განვითარებაში. სტატისტიკის მიხედვით, აზიური ქვეყნების მამაკაცებს ეს დაავადება ბევრად იშვიათად სჭირთ. იაპონელი სწავლულების ვარაუდით, ეს განსხვავება მწვანე ჩაის მოხმარების დონეს უკავშირდება – აღმოსავლელი მამაკაცები მას უფრო ხშირად მიირთმევენ.

უნიკალური სასმელი გასახდომად



შვეიცარიელმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ ახალ სასმელზე მუშაობენ, რომელსაც შეეძლება, ზედმეტ წონას ფიზიკურ ვარჯიშებზე უკეთ შეებრძოლოს. მათ აღმოაჩინეს ენზიმი AMPK, რომელიც არეგულირებს ადამიანის მეტაბოლიზმს და საშუალებას იძლევა, დაინვას ცხიმის მარაგები. ამჟამად, კვლევები სასმელის შექმნაზე მიმდონარეობს, რომელმაც ორგანიზმში ამ ენზიმების გააქტიურება უნდა გამოიწვიოს. სწავლულთა განცხადებით, სასმელის ერთი პორცია დააჩქარებს მეტაბოლიზმს და ცხიმების დაწვას ისევე ძლიერად, როგორც 40-წუთიანი გასეირნება ველოსიპედით, უსწორმასწორო ადგილზე. თუმცა, მოძრაობის სრულად შეცვლა ამ სასმელს არ შეუძლია: მისი საშუალებით რომ გახდეთ, მაინც მოგიწევთ ცოტა ირბინოთ ან ფეხით გაისეირნოთ. როდის გამოჩნდება ეს სასწაულმოქმედი სასმელი, ჯერჯერობით, უცნობია – აუცილებელია მრავალმხრივი ტესტების ჩატარება, რაც რამდენიმე წელიწადს კიდევ გაგრძელდება.

ამერიკა – დიდმკერდიანი ქალების ქვეყანა



ყველაფრის გამომკვლევმა ბრიტანელმა სწავლულებმა ახლა სუსტი სქესის წარმომადგენლების მკერდის ზომებისთვისაც მოიცაღეს და გამოიკვლიეს, მსოფლიოს რომელ ნერტილში ცხოვრობენ ყველაზე დიდმკერდიანი მანდილოსნები. საამისოდ მათ მოაგროვეს და გააანალიზეს 108 ქვეყნის წარმომადგენელი, 28-30 წლის 400 ათასი ქალის ბიუსტის ზომების მონაცემები. კვლევის ავტორები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელთა მკერდის მოცულობა ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. აღმოჩნდა, რომ ყველაზე დიდი ბიუსტის მქონენი ევროპული წარმოშობის ამერიკელი ქალბატონები არიან. რეიტინგში მეორე ადგილზე ჩრდილოამერიკელი მანდილოსნები – კანადელები გავიდნენ, საპატიო მესამე საფეხურზე კი – აშშ-ს წარმომადგენლები, ოღონდ არა-ევროპელები. დიდმკერდიანი ქალების ქვეყნების ათეულში შევიდნენ, ასევე, ირლანდია, პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, კოლუმბია, ისლანდია და ვენესუელა. ყველაზე მცირე ზომის მკერდის მქონე ქალებს კი ფილიპინებზე, მალაიზიაში, ბანგლადეშში, სამოასა და სოლომონის კუნძულებზე შეხვდებით.

ქალის მესხიერებას ფიგურა განსაზღვრავს



ამერიკელი მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ქალის ფიგურის ტიპი გავლენას ახდენს, რამდენად კარგი მესხიერება ექნება მას. მკვლევარებმა სხვადასხვა ტესტების ჩატარების შემდეგ აღმოაჩინეს, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები, რომელთაც ვაშლის ფორმის სხეული აქვთ, საუკეთესო შედეგებით გამოირჩეოდნენ, ვიდრე მსხლის ფორმის სხეულის მქონე ქალები. კვლევაში 65-დან 79 წლამდე ასაკის 8745 მანდილოსანი მონაწილეობდა. მათ აძლევდნენ ტესტებს მესხიერებაზე, რომლებსაც ექიმები პაციენტის ტვინის აქტიურობის ხარისხის დასადგენად იყენებენ. სწავლულები მიიჩნევენ, რომ ცხიმი მუცლის მიდამოში ააქტიურებს ქალურ ჰორმონ ესტროგენს, რომლის რაოდენობაც ორგანიზმში მენოპაუზის შემდეგ მცირდება. ესტროგენი კი, ცნობილია, რომ გარკვეული ხარისხით იცავს ტვინს ნაადრევი დაბერებისგან.

საკვების პორტატული გამაცხელებელი შექმნეს



იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სამსახურებში საკვების გაცხელება არ შეუძლიათ და ცივი სადილის მირთმევა უნევთ, ან იძულებულნი არიან, სწრაფი კვების ობიექტებს მიმართონ, უკვე არსებობს გამოსავალი – ახალგაზრდა სპეციალისტებმა საქმლის ინოვაციური ყუთი – Ember შექმნეს, რომელსაც შეუძლია, მასში მოთავსებული საკვები დამოუკიდებლად გაათბოს ან გააცხელოს გაზქურისა და მიკროტალღური ღუმელის გარეშე. როგორც მისი ავტორები ცხადებენ, ამ ყუთის გამოყენება ძალიან მარტივი და მოსახერხებელია, რადგან მისი წალევა ყველგან შეიძლება – ოფისი იქნება, თუ ლაშქრობა. გარდა ამისა, მონაცემებს შეუძლია, თქვენი საკვები გრილად, ან პირიქით – თბილად შეინახოს. მას მოჰყვება სპეციალური აპლიკაცია, რომლითაც ამ გამაცხელებლის მართვა და საამისოდ დროის წინასწარი დაგეგმვა შეგიძლიათ.

პასტორმა მრევლი დააფხმძიმა



სამხრეთ ნიგერიის სამართალდამცავებმა ქარიზმატული ქრისტიანული მოძრაობის „წმინდა სამების ვენახის“ ეკლესიის მეთაური დააპატიმრეს. პასტორი ტიმოთი ნგვუ, საკუთარი მრევლიდან 20 ქალის დაორსულებაშია ბრალდებული. როგორც ადგილობრივები ჰყვებიან, პასტორი ამტკიცებდა, რომ სულიწმინდამ მისი მოძრაობის წევრი ქალების „განაყოფიერება“ უბრძანა, მიუხედავად მათი ოჯახური მდგომარეობისა. ნგვუს ცოლმა ქმრის ნამოქმედარი მხოლოდ მაშინ შეიტყო, როცა მისი ახლობელი ახალგაზრდა ქალიც დაფხმძიმა. პოლიციამ პასტორი სექსუალური ძალადობის ბრალდებით დააკავა. ეკლესიის მეთაურს 5 ცოლი და 13 შვილი ჰყავს. ცოლების მტკიცებით, მას არადროს ჰქონია კავშირი გათხოვილ ქალებთან, გარდა ამ შემთხვევისა. გაირკვა, რომ ამ ქალების ქმრებიც თანახმანი იყვნენ, პასტორს „სულიწმინდას თხოვნა“ აღესრულებინა.

პომიდორი უშვილობის წინააღმდეგ



აშშ-ის კლივლენდის კლინიკის სწავლულების მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ნაერთი ლიკოპინი, რომელიც პომიდორს წითელ ფერს აძლევს, მამაკაცის ფერტილობის მაჩვენებელს ზრდის. აღმოჩნდა, რომ ეს ნაერთი 70%-ით ზრდის სპერმატოზოიდების რიცხვს. სტატისტიკური მონაცემებით, 100-დან 45 შემთხვევაში, წყვილის უშვილობის მიზეზი, სწორედ მამაკაცია. ლიკოპინზე ჩატარებულმა თორმეტმა კვლევამ დაადასტურა, რომ სპერმატოზოიდების რიცხვის გარდა, ნაერთი ზრდის მათი გადაადგილების სიჩქარეს, ამცირებს დაზიანების ხარისხსა და ანომალური სპერმატოზოიდების რიცხვს. ამ ეტაპზე, ლიკოპინის მოქმედების მექანიზმი უცნობია. კვლევის ავტორების თქმით, არის იმის მონაცემებიც, რომ ლიკოპინი მამაკაცის ორგანიზმს პროსტატის დაავადებისგანაც იცავს და კიბოს განვითარებასაც კი აფერხებს.

გარდაცვლილებს სასუქად გამოიყენებენ



აშშ-ში, ვაშინგტონის შტატის გუბერნატორმა მოინონა გადანყვეტილება, გარდაცვლილი ადამიანების სხეული სასუქად გამოიყენონ. გარდაცვლილების სხეულს ექვსკუთხა ფოლადის კონტეინერში მოათავსებენ, რომელიც სავსე იქნება ბალახით, ჩალითა და ნახერხით. კონტეინერს მჭიდროდ დაახურებენ და 30 დღის განმავლობაში, გვამი ბუნებრივი გზით გაიხრწნება. ასეთი მეთოდი – კომპოსტირება – სტანდარტული დასაფლავების ან კრემაციის ალტერნატივად განიხილება. აღსანიშნავია, რომ გარდაცვლილთა სასუქად გადაქცევის მეთოდი უკვე ლეგალიზებულია შვედეთში.

ვერსია
 მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
 UDC(უაპ)070.48.32(479.22)3-387

დაფუძნებულია და მთავარი რედაქტორი
 მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
 დირექტორი – გიორგი ლომსაძე
 e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
 ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
 რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.